გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

ლელო

№ 95
(11 961)

6 – 8 დეკემბერი, 2005 წ. ფასი 40 თ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

XI

## თვის მონაგარი

# ნოემბრის კონტრასტები

ახალი სპორტული ბაზების გაშენების და ძველის კეთილმოწყობის ტენდენცია ხელისუფლების ხელშეწყობით კვლავ გრძელდება – გასული თვის პირველსავე დღეებში ჩვენ საჭიდაო არენებს კიდევ ერთი შეემატა – წყნეთში გაიხსნა ლუკა კურტანიძის სახელობის კლუბი და დარბაზი. დუშეთში კი გაიმართა დიდი მამითადი – საქართველოს სპორტის დეპარტამენტმა და გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ ერთობლივად გაწმინდეს ის ადგილი, სადაც ადრე რუსეთის ჯარი იდგა და ამიერიდან დიდი სპორტული ცენტრული გაშენდება. გასული ნოემბრის პირველ დეკადაში პირველად საქართველოში, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიაში დაფუძნდა „ილიალოგთა კლუბი“.

ქალ ძიუდოისტთა საქართველოს ეროვნული ნაკრები მთავარი მწვრთნელის გოდერძი ველიჯანაშვილის ხელმძღვანელობით თურქეთში საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობდა. ვერცხლის ორი და ბრინჯაოს სამი მედალი – ასეთი იყო ჩვენების მონაგარი. დიდ მოვლენად იქცა ქართულ ჭიდაობაში საქართველოს პრეზიდენტის თასის გათამაშება თბილისში. აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ქალ ფრენბურთელთა ნაკრები გუნდების ასპარეზობა კი საქართველოს პირველი ლედის თასზე, ისევე როგორც შარშან, დასავლეთელთა, ანუ დიდი ჯიხაიშის „ჯიკოს“ ბაზაზე დაკომპლექტებული გუნდის გამარჯვებით დასრულდა. აქვე ვიტყვით: საქართველოს ქალ ფრენბურთელთა ნაკრებს მოეხსნა სანქცია და ისევ მიეცა საერთაშორისო სარბიელზე გამოსვლის უფლება.

ჩვენმა ახალგაზრდა ფალავნებმა სტამბოლში თავისუფალ და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ბრწყინვალედ იასპარეზეს – მოიპოვეს ოქროს – 6, ვერცხლის – 1 და ბრინჯაოს – 5 მედალი. ასტანაში გამართულ სამბისტთა მსოფლიო ჩემპიონატში კი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა მინდია ბოდაველმა.

2005 წლის ნოემბერი ღირსსახსოვარ თარიღად დაფიქსირდება ქართული სპორტის ისტორიაში. ასრულდა დიდი ხნის ოცნება – საქართველოს ჩემპიონატი ძიუდოში (სხვა ფედერაციებმაც უნდა მიბაძონ) ჩატარდა ამ სახეობაში ქვეყნის ყველა უძლიერესი ფალავნის მონაწილეობის აუცილებელი მოთხოვნით. სიახლემ კი ზეიმად აქცია ეროვნული ჩემპიონატი. ასევე დიდი ინტერესი გამოიწვია საქართველოს თასის გათამაშებამ სამბოში. აზერბაიჯანში გამართულ საერთაშორისო ტურნირში წარმატებით გამოვიდა ლ. თედიაშვილის სახელობის სპორტული კლუბის ჭაბუკთა ნაკრები.

დასასრულ, ვიტყვით, რომ წლის ბოლო ასპარეზობა, ნოემბრის ბაზო დადებითი ბალანსით დაამთავრა სუმოს ქართველმა პროფესიონალმა ლევან ცაგურიამ.

# 5 ოქრო ერევნიდან



ერევანში ჩატარდა საერთაშორისო ტრადიციული ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში, რომელშიც მონაწილეობდნენ რამდენიმე ქვეყნების ჭაბუკთა ნაკრები გუნდები.

ქართველმა ფალავნებმა 5 ოქრო, ერთი ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.

გამარჯვებულები არიან: **გია ბურჯალიანი** (54 კგ. ცაგერი), **კახა ცუცქირიძე** (60 კგ. ქუთაისი), **ნოე ჭელიძე** (74 კგ. თბილისი), **თორნიკე სვანიძე** (84 კგ. თბილისი) და **ბექა ჭელიძე** (96 კგ. თბილისი). ვერცხლის მედალი მოიპოვა **მარატ ზოიძემ** (74 კგ. ბათუმი), ბრინჯაოსი – **მურთაზ კვესაძემ** (60 კგ. ქუთაისი).

ჩვენ ნაკრებს ხელმძღვანელობდა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი **თამაზ ბენდიანიშვილი.**

# რევაზ მინდორაშვილი რეიტინგით პირველია მსოფლიოში



გუშინ, საღამოს, ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **ომზარ შოშიტაშვილმა** ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციიდან (ფილა) მიღებული ახალი შეტყობინება გადმოგვცა. ფილა, როგორც ცნობილია, ყოველწლიურად აქვეყნებს მოჭიდავეთა რეიტინგს წლის განმავლობაში მიღწეული შედეგების მიხედვით. სასიხარულოა, რომ თავისუფალ და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში პირველ თხუთმეტეულში შესულია საქართველოს თორმეტი წარმომადგენელი. აღსანიშნავია, რომ თავისუფალ ჭიდაობაში 2005 წლის მსოფლიოს №1 სპორტსმენად 84 კგ. წონით კატეგორიაში დასახელებულია **რევაზ მინდორაშვილი.** 96 კგ წონაში მეორეა **ლუკა კურტანიძე,** მეოთხე – **ოთარ თუშიშვილი** (66), მეშვიდე – **ლევან ჩაბრაძე** (60), მეთორმეტე **ალექსანდრე მოდებაძე** (მძიმე) და მეთოთხმეტე – **ბესარიონ გოჩაშვილი** (55). საქართველოს გუნდი კი მესამე ადგილზეა რუსეთისა და კუბის ნაკრებების შემდეგ.

ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში მერვეა **მანუჩარ კვირკველია** (74), მეათე – **ირაკლი ჭოჭუა** (55), **მუხრან მაჭუტაძე** (66) და **ბადრი ხასაია** (84), მეთორმეტე – **დავით ბედინაძე** (60), მეთოთხმეტე – **მირიან გიორგაძე** (მძიმე).

# მსოფლიო თასს ქართველები გამოეთიშნენ

ჭადრაკში მსოფლიო თასის გათამაშებას შემორჩენილი ორი ქართველი მოჭადრაკე მესამე წრეში დამარცხდა. **ლევან ფანცულაიამ** და **ბაადურ ჯობავამ** ძირითადი პარტიები ყაიმით დაასრულეს შესაბამისად **ბორის გელფანდთან** და **სერგეი რუბლევსკისთან,** მაგრამ დამატებით პარტიები დათმეს. ჯობავამ საბოლოოდ წააგო 1,5-2,5, ხოლო ფანცულაიამ 2-4.

# წლის შედეგები საზეიმოდ შეჯამდება

2005 წელს საქართველოს სპორტული ორგანიზაციების მიერ გაწეული მუშაობა დეკემბრის ბოლო დეკადაში საზეიმოდ შეჯამდება.

საქართველოს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის **დ. ნამგალაურის** ბრძანებით შექმნილია საორგანიზაციო კომიტეტი, რომელიც აღნიშნული ღონისძიების მომზადება-ჩატარებას უხელმძღვანელებს.

# მსაჯებო, გეშინოდეთ!..

როგორც „ლელოს“ წინა ნომერში გაუწყეთ, ვაჟ კალათბურთელთა საქართველოს ჩემპიონატის მე-9 ტურში რუსთავში ადგილობრივი „აზოტი“ თსუ-„ნიკორას“ მასპინძლობდა. მატჩი დასრულდა თუ არა, მოედანზე მაყურებელთა დიდი ჯგუფი გადაიჭრა და მუშტი-კრივი გაიმართა. ადგილობრივი გულშემატკივარი თავისი ქალაქის გუნდის დამარცხებამ გაალიზიანა. როგორც მოსალოდნელი იყო, ინციდენტი სადისციპლინო კომიტეტს უნდა განეხილა, რაც ოპერატიულად განხორციელდა კიდეც. დისციპლინარებმა დაადგინეს, რომ ექსცესი გამოიწვია მსაჯების **ბერიკაშვილ – მაჩალაძის** შეცდომებმა და სასჯელიც მათ გამოუტანეს – ბერიკაშვილს ერთი, მაჩალაძეს კი სამი მატჩის დისკვალიფიკაცია.

ამას კი ნამდვილად ვერავინ წარმოიდგენდა. გაგიგიათ ხულიგნობისთვის კი არა, სასჯელი მსაჯთა შეცდომისთვის გამოეტანათ დისციპლინარებს? ეტყობა, ამიერიდან სიახლეს დაედება სათავე, ოღონდაც, მთავარია, გაამართლოს...

ასე რომ, მსაჯებო, ამიერიდან არა მხოლოდ განრისხებული გულშემატკივრის, თქვენი მსაჯობის შემფასებლისაც გეშინოდეთ...

სირცხვილი თუ უპასუხისმგებლობა?

# რას ითხოვთ, ქუთაისელო დირექტორებო?...

რედაქციაში ტელეფონმა დარეკა. ქუთაისიდან ფაქსი მიიღეთო – გვამცნო გოგონამ. ჩავრთეთ ფაქსი და პირველი, რაც თვალში მოგვხვდა, ჩვენი გაზეთის მკითხველებისთვის ესოდენ ნაცნობი „SOS“ იყო. ვიფიქრეთ, რაღაც საგანგაშო ამბავს გვაწვდიან და თანადგომას ითხოვენო. მართლაც, ასე იყო, მაგრამ ბოლომდე ვერანაირად ვერ გავერკვიეთ თუ რა მოხდა. მინიშნებით კი მივხვდით, რომ რაღაც პრობლემები წარმოშობილა სპორტსკოლებთან, სპორტულ ლიცეუმთან მათ შემდგომ დაფინანსებასთან დაკავშირებით. სამწუხაროდ, ტექსტი იმდენად აბურდულია, ვერც ის გავიგეთ, ვინ არის დამნაშავე და რატომ, ვერც ის, თუ რას ითხოვენ. არადა, ბოლოში ტექსტს ვიღაცისგან აქვს მიწერილი „სპორტული სკოლის დირექტორები“, აქაოდა, ერთი ვინმეს ჭირვეულობა არ გეგონოთ, დირექტორთა ამქარი ვითხოვთო შველას.

კეთილი და პატიოსანი. თუ მართლა ასეა, იმ დალოცვილთაგან ერთმა დირექტორმა მაინც არ წაიკითხა, რა დაიწერა, როგორ აიწყო კომპიუტერზე, იქნებ ამწყობმა სულ სხვა სიტყვები ამოიკითხა, ანდა სულ სხვა შინაარსის დატვირთვა მისცა მას. იქნებ სადღაც სასვენი ნიშანი იყო დასასმელი, რომ სიტყვათა წყობიდან აზრი გამართულიყო. არა და არა. დაიწერა, აიწყო და დირექტორებს ხელმოსაწერადაც არ გააცნეს – იოლი გზა გამოიძებნა – კალმის ერთი მოსმით „სპორტული სკოლის დირექტორები“ მიაწერეს და ასე აფრინეს რედაქციაში. გვაპატიეთ, დირექტორებო, მაგრამ ეს არ გეკადრებათ. თუ ვინმემ თქვენი სახელი ბოროტად გამოიყენა, აგერ თქვენ და აგერ ჩვენ, ოღონდ ქართულად გამართული ტექსტით კაცურად მოგვწერეთ რა გიჭირთ და რაში გჭირდებათ ჩვენი თანადგომა.

განზე არც არასოდეს გავმდგარვართ და არც ახლა გავდგებით. იცით თქვენ ეს.

მიმომხილველი.




# გუშინ...

სტუ – სსუ 111:78
„ავიამშენი“ – „აზოტი“ 88:78
„ქუთაისი“ – „მაქაბი“ 84:88
თსუ-„ნიკორა“ – „დინამო“ – 95:76

ფოტო ელდარ მალხაზიშვილისა.

# ინტეგრაცია თვითმიზნად არ უნდა იქცეს...

„ჩვენ მივესალმებით უმაღლესი სასწავლებლების ინტეგრაციას, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე გასათვალისწინებელია ბევრი რამ და, უპირველესად, არა მხოლოდ სპეციალობათა, არამედ პროფილისა და ფუნქციონირების სპეციფიკის მონათესაობა. არ უნდა მოხდეს ისე, რომ სიკეთის მოტანის ნაცვლად, დარგი ვაზარალოთ“ – ასეთი იყო საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიაში გუშინ გამართული სამეცნიერო – პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე აღნიშნული საკითხის განხილვის ლაიტმოტივი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში შემუშავებული პროექტით ივარაუდება სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტის, ი. ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის, თბილისის კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის და საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის ინტეგრაცია.

როგორც ხედავთ, ამ სასწავლებლებს არ გააჩნიათ ერთმანეთის ანალოგიური პროფილი, რაც უმტკივნეულოდ უზრუნველყოფდა მათ გაერთიანებას. სპორტის აკადემია არ არის მხოლოდ პედაგოგიური განხრის უმაღლესი სასწავლებელი, ის ქართული სპორტის სამეცნიერო, მაღალი რანგის სპორტსმენთა და მწვრთნელთა აღზრდის კერაცაა.

სპორტის აკადემიის ხელმძღვანელობას და პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობას იმედი აქვს, რომ არგუმენტები, რომელიც სპორტის აკადემიის რეფორმების დროებითმა კომისიამ წარუდგინა განათლების და მეცნიერების სამინისტროს, გულდასმით იქნება განხილული.

არგუმენტებს ერთხმად დაუჭირა მხარი აკადემიის საბჭოს მთელმა შემადგენლობამ. მიიღეს გადაწყვეტილება, აკადემიის რეფორმების დროებითი კომისია შეხვდეს ყველას, ვინც უნდა გამოიტანოს საბოლოო დასკვნა და დაწვრილებით გააცნონ მათ ის უარყოფითი შედეგები, რაც აკადემიის სხვა სასწავლებლებთან ინტეგრაციამ შეიძლება მოიტანოს.

აკადემიის საბჭოს გუშინდელ სხდომაზე განიხილეს აგრეთვე ბაკურიანის სასწავლო ცენტრის უკანონოდ გასხვისების; კათედრების გამგეების ახალი არჩევნების, აკადემიის საფინანსო საქმიანობისა და სხვა საკითხები.

„ლელო“ – „გუმათი“.

# დღეს წინასწარი ფინალია

მაგთიკომის პატრონაჟობით მიმდინარე მორაგბეთა საქართველოს პირველობა გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. „ლელო“ – „აკადემიის“ შეხვედრას უნდა გაერკვია თუ ვინ გავიდოდა წინასწარ ფინალში. იმის თქმა, რომ ხსენებული მეტოქეები სათამაშო კლასით დიდად განსხვავდებიან ერთმანეთისგან, მართებული არ იქნება. ორივეს თანაბარი შანსი ჰქონდა, მაგრამ იმ დღეს უფრო მობილიზებული „აკადემია“ აღმოჩნდა და ე.წ. გასავარდნი ფინალიდან დაშამათებული „ლელო“ გამოვიდა, რომელმაც ეს შეხვედრა 19:24 წააგო. საბოლოოდ მეოთხე ადგილი – ასეთია „ლელოს“ ხვედრი.

„ლოკომოტივის“ და „ხულიგანას“ შეხვედრაში კი აშკარა იყო, რომ რკინიგზელებს ამ მატჩის მოგება არ გაუძნელდებოდათ. ასეც მოხდა – თასის წლევანდელმა მფლობელმა მეორე ადგილოსან „ხულიგანას“ 40:5 სძლია. „ლოკომოტივს“ ქვეყნის მიმდინარე პირველობაში მიჯრით 9 მატჩი აქვს მოგებული და შესანიშნავი პერსპექტივა რჩება დუბლის შესასრულებლად.



დღეს წინასწარი ფინალია, „ხულიგანა“ „აკადემიას“ უმასპინძლებს. მატჩი ვაკეში, 15 საათზე დაიწყება.

11 დეკემბერს კი ეროვნულ სტადიონზე „ლოკომოტივი“ დიდ ფინალში „ხულიგანა“ – „აკადემიას“ შორის გამარჯვებულს შეხვდება. მატჩი 14 საათზე დაიწყება.

# ძოძუაშვილი «დააქვეითეს»

ლატვიაში მოღვაწე ფეხბურთის ქართველი სპეციალისტი **რევაზ ძოძუაშვილი** რიგის კლუბ „ოლიმპის“ მწვრთნელი-კონსულტანტის თანამდებობაზე დაინიშნა. „ოლიმპი“ წლევანდელი სეზონის შედეგებით უმაღლესი ლიგიდან გავარდა. კლუბის მთავარი მწვრთნელია **ალექსეი შარანდო.** რევაზ ძოძუაშვილს ევალება საწვრთნელი პროცესის ხელმძღვანელობა. ცნობილია, რომ ქართველი სპეციალისტი 1997-2000 წლებში თავკაცობდა ლატვიის ნაკრებს, ბოლო პერიოდში კი რიგის „სკონტოს“ ვიცე-პრეზიდენტიც იყო.

# ფიფამ ფედერაციები კიევში მიიწვია

5-9 დეკემბერს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი **გრიგოლ ცაავა,** ტექნიკური დირექტორი **გაიოზ დარსაძე** და კლუბების ლიცენზირების მენეჯერი **ლალი ლობჟანიძე** უკრაინის დედაქალაქ კიევში გაემგზავრებიან და ფიფას ფინანსური დახმარების და განვითარების პროგრამისადმი მიძღვნილ სემინარში მიიღებენ მონაწილეობას. სემინარს, რომელსაც დსთ-ს ქვეყნების ფეხბურთის ფედერაციათა ხელმძღვანელები დაესწრებიან, გაუძღვებიან: მოსკოვში ფიფას წარმომადგენლობის თავკაცი **ვალერი ჩუხრი,** ფიფას განვითარების მენეჯერი **ევა პასკიე** და ფიფას კონსულტანტი **ალექსანდრ ჩერნუხო.**

სემინარზე განიხილავენ ფედერაციების ფიფას მიერ აუდიტორული შემოწმების 2004 წლის შედეგებს, იმსჯელებენ 2006 წელს ფინანსური დახმარების საკითხებზე, გრძელვადიან გეგმებზე და განვითარების პროგრამაზე.

საქართველოს სპორტის დეპარტამენტი სამძიმარს უცხადებს შპს „სპორტმშენსერვისის“ დირექტორის მოადგილეს, ვეტერან მორაგბეს, სუმოს ეროვნული ფედერაციის გენერალურ მდივანს ზურაბ რეხვიაშვილს მეუღლის

მადონა ლეჟავა – რეხვიაშვილის

გარდაცვალების გამო.

შპს „სპორტმშენსერვისი“ თანაგრძნობას უცხადებს ამავე ორგანიზაციის დირექტორის მოადგილეს, ვეტერან მორაგბეს, საქართველოს სუმოს ეროვნული ფედერაციის გენერალურ მდივანს ზურაბ რეხვიაშვილს მეუღლის

მადონა ლეჟავა – რეხვიაშვილის

გარდაცვალების გამო.
პანაშვიდი: 6,7.XII, 17 სთ; გამოსვენება 8.XII, 14 სთ. მოსაშვილის 1.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ახალი თაობის ფეხბურთელები

# „ავაზადან“ – ეროვნულ ნაკრებში!

**პირველი შემთხვევაა, როცა „ლელოში“ საქართველოს ნაკრების ფეხბურთელზე ვწერთ და დოსიეში სათქმელი ბევრი არაფერი გვაქვს.
დაიბადა 1988 წელს, 22 თებერვალს. თამაშობდა „ავაზაში“, „მარდში“, „ამერში“, ამჟამად „ზესტაფონშია“, ეროვნულ ნაკრებში წლეულს ჩაირიცხა და ითამაშა 6 მატჩი. ფეხბურთში მეცადინეობა დაიწყო ანზორ ზუკაკიშვილთან, მერე გადავიდა ნუგზარ ჩიტაურთან „ავაზაში“. წონა 76 კგ. სიმაღლე – 186 სმ.
სულ ეს არის ახალგაზრდა ფეხბურთელის გიორგი განუგრავას საფეხბურთო ბიოგრაფია.**



„ზესტაფონი“, რომლის წევრად დღეს ირიცხება გიორგი განუგრავა, ყველამ კარგად იცის, ვარსკვლავებით დაკომპლექტებული არ არის, მაგრამ უნარიანმა მწვრთნელმა **თემურ მახარაძემ** იმერელთა კლუბი ანგარიშგასაწევ ძალად აქცია ყველასთვის. გუნდი ახლა შვებულებაშია. გიორგი განუგრავაც თბილისშია და...

„გუშინ ჩამოვედი ზესტაფონიდან: გუშინვე მოვინახულე ნუგზარ მასწავლებელი, დღეს, აგერ, თქვენთან მოვედი, ხვალიდან ძველ თანაგუნდელებს, „ავაზა 88“-ის ბიჭებს მოვინახულებ“ – გვითხრა გიორგიმ, რომელსაც ჩვენი კორესპონდენტი **ლელა ჭანკოტაძე** შემოუძღვა რედაქციაში. ის იყო საუბარს შევუდექით, რომ სტუმარს მესამე სურვილიც ნაწილობრივ აუსრულდა – რედაქციაში მოვიდა „ავაზაში“ მისი ყოფილი თანაგუნდელი **თორნიკე გაჩეჩილაძე.** ახლა უკვე საუბარში ოთხნი ჩავერთეთ.

გიორგი ჯიბიდან 1997 წლის კალენდარს იღებს, უკვე გაყვითლებულს, საკმაოდ გაცრეცილსაც. „ხომ გახსოვთ ეს კალენდარიო“ – გვეუბნება.

1997 წელს ნუგზარ ჩიტაურის 1988 წლიანთა „ავაზა“ ნამდვილად ერთ-ერთი გამორჩეული გუნდი იყო თანატოლთა შორის. ხშირად გამოდიოდა სხვადასხვა შეჯიბრებებში გამარჯვებული. ის ჯიბის კალენდარიც მაშინ დავბეჭდეთ, რომელიღაც მნიშვნელოვან ტურნირში გამარჯვების აღსანიშნავად. ოთხმოცდარვიანთა ჩიტაურის „ავაზაში“ მაშინ განსაკუთრებით გამოირჩეოდა დაცვაში – გიორგი განუგრავა, თავდასხმაში კი – **ლადო ლაფერაშვილი** (დღეს ლაფერაშვილი „ზესტაფონშია“), ამ გუნდში თამაშობდნენ აგრეთვე დღეს ცნობილი ფეხბურთელები **გიორგი ჯიშკარიანი** და **ირაკლი კლიმიაშვილი.**

◆ ***გიორგი, როგორ მოხდა, რომ თავიდან ერთი წლით უფროსთა ჯგუფში მოხვდი ანზორ ზუკაკიშვილთან?***

– ანზორ მასწავლებელთან მინდოდა ვარჯიშის დაწყება, მაგრამ ჩემზე ერთი წლით უფროსებს ავარჯიშებდა. უარი არ მითხრა.

◆ ***მერე თანატოლებთან როგორ აღმოჩნდი?***

– ტრავმა მივიღე და იმ გუნდს ჩამოვშორდი. აღარც ვაპირებდი ვარჯიშის განახლებას, მაგრამ ანზორ მასწავლებლის დაჟინებული თხოვნით და ნუგზარ ჩიტაურის მხარდაჭერით 88-იანებში ჩავირიცხე.

◆ ***მერე იყო „მარდი“ და გზა დიდი ფეხბურთისკენ...***

– „მარდი“ შემდეგ „ამერად“ გადაკეთდა. მოვიგეთ დარასელიას ტურნირი. „ამერში“, მაშინ, „მარდიდან“ ერთბაშად 7 ფეხბურთელი აგვიყვანეს.

მერე მოხდა ისე, რომ 6 თვე უგონოდ ვიყავი. მთელი ეს პერიოდი მე და **ბექა გოცირიძე** ინდივიდუალურად ვვარჯიშობდით ბატონ **გაიოზ დარსაძის** კონსულტაციით. მისივე ინიციატივით მივიღეთ მიწვევა „ზესტაფონში“. ჩავედით გასინჯვაზე. შეკრება გავიარეთ ანტალიაში და ორწლიანი კონტრაქტიც გაფორმდა. ეს შარშან იყო.

◆ ***ნაკრებშიც დარსაძის მიწვევით მოხვდი, რაც, უდავოდ დიდი პატივია ჯერ კიდევ ჭაბუკი ფეხბურთელისთვის. ვინ გამაცნო პირველად, რომ ნაკრებში აგიყვანეს და რა განცდა გქონდა?***

– ახლა ზუსტად არ მახსოვს, პირველმა დედაჩემმა დამირეკა თუ ჩემმა თანატოლმა თანაგუნდელმა **გიორგი ხიდეშელმა.** ორივეს ტელევიზორით მოუსმენია ნაკრების ახალი შემადგენლობა.

◆ ***ნაკრებში შენს მიერ ნათამაშები ექვსი მატჩიდან, რომლით დარჩით კმაყოფილი საკუთარი თამაშით?***

– დანიის ნაკრებთან შეხვედრით.

◆ ***ეროვნულ ჩემპიონატში...***

– „თბილისთან“ მატჩით.

◆ ***ნაკრებში ვისთან პარტნიორობით გრძნობ მოედანზე თავს ლაღად?***

– ამას მნიშვნელობას არ ვანიჭებ, ვცდილობ ყველას მოვერგო. ჯერ არ ვარ იმ ასაკის და გამოცდილების, რომ რაიმე პრეტენზიის უფლება მქონდეს.

◆ ***უცხოეთიდან ხომ არ მიგიღია მიწვევა?***

– არა.

◆ ***საქართველოს კლუბებიდან...***

– არ გამიგია.

◆ ***რა შთაბეჭდილება გაქვს იმერთა კლუბზე?***

– ძალიან თბილი, მეგობრული გუნდია.

◆ ***ვიცით, რომ ფანებს ხვდებით...***

– კი, ბევრს ვიცნობ, დავმეგობრდით კიდეც.

◆ ***თემურ მახარაძეზე რას იტყვი?***

– გამოცდილი და ძლიერი სპეციალისტია, მისი ყველას გვჯერა.

◆ ***ეროვნული ჩემპიონატის I წრე ჩამთავრდა. შვებულება გაქვთ, როგორია შენი პირადი გეგმები?***

– რაც შეიძლება უნდა განვერიდო ფეხბურთს და ნაკლებად ვიფიქრო ფეხბურთზე, უფეხბურთოდ მსურს დასვენება.

◆ ***„ზესტაფონის“ გარდა, მაინც სად ითამაშებდი?***

– ამ კლუბში თავს ნორმალურად ვგრძნობ და სხვაზე არც ვფიქრობ.

◆ ***არც უცხოურ კლუბებზე ოცნებობ?***

– ჯერ რა დროს ეგ არის. ისე, ჩემი საყვარელი კლუბია „მანჩესტერი“.

◆ ***არდადეგების შემდეგ რა გეგმები გაქვს?***

– ჩავერთვები კლუბის და 19 წლამდელთა საქართველოს ნაკრების მზადებაში. ცხადია, მზადება თუ ერთმანეთს დაემთხვა, ორივეგან ვერ ვიქნები.

◆ ***თავისუფალ დროს როგორ ატარებ?***

– შინ ვარ და მეტწილად მუსიკას ვუსმენ, ან მეგობრებთან ვერთობი.

◆ ***ამბობენ, კითხვა უყვარსო...***

– ძალიან.

◆ ***დავუბრუნდეთ ნაკრებს, რა განცდა დაგეუფლა პირველად რომ ეროვნული ნაკრების მაისური ჩაიცვი?***

– ყველაზე ბედნიერ ადამიანად ჩავთვალე თავი.

◆ ***მოელოდი?***

– ნამდვილად არა.

◆ ***2005 წელი იწურება. ვისთან ერთად შეხვდები ახალ წელს?***

– დედასთან, დასთან და დეიდაშვილთან ერთად.

◆ ***ოჯახში ახალი წევრის შემატებას ხომ არ გეგმავ?***

– არა, ჯერ არც ვფიქრობ, ამორჩეულიც არავინ მყავს, მოვესწრები.

◆ ***ჟურნალისტებთან როგორი ურთიერთობა გაქვს?***

– ვაფასებ მათ შრომას.

◆ ***გული თუ უტკენიათ?***

– კი, ყოფილა ასეთი შემთხვევები.

◆ ***„ლელომდე“ თუ გქონიათ რომელიმე რედაქციასთან ან ჟურნალისტებთან ურთიერთობა?***

– არა, თქვენ პირველები ხართ, მოსანახულებლად მოვედი და, რაკი მოისურვეთ ჩემთან გასაუბრება, უარს თქვენ ნამდვილად ვერ გეტყოდით.

◆ ***წარმატებებს გისურვებთ, იმედია, სხვა დროსაც მოგვინახულებთ.***

– აუცილებლად. დიდი მადლობა!

ესაუბრა **თენგიზ თომაშვილი.**

---

## საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია
# აცხადებს კონკურსს
### შემდეგი თანამდებობების დასაკავებლად:

ფეხბურთის კათედრის გამგე – 1 საშტატო ერთეული;
სპორტთამაშების კათედრის გამგე – 1 საშტატო ერთეული;
ჭიდაობებისა და ძალოსნობის კათედრის გამგე – 1 საშტატო ერთეული;
ფიზიკური აღზრდის, თეორიისა და მეთოდიკის კათედრის გამგე – 1 საშტატო ერთეული;
კონკურსის ვადაა 1 თვე დღიდან გამოცხადებისა.
მისამართი: ქქუცა ჩოლოყაშვილის (ჭავჭავაძის) 49. ტელეფონი: 23.09.02

**საქართველოს სპორტის აკადემია.**

---

# სწრაფად! მაღლა! ძლიერად!

**ოთახში შესვლისთანავე, ოლიმპიური დევიზის სიტყვები მომხვდა თვალში. იქვე გამოფენილ ფოტოსურათებიდან ამაყად იმზირებიან ჩვენი სახელოვანი მძლეოსნები: ვიქტორ სანეევი, მაია აზარაშვილი, საიდა გუმბა, ნინო დუმბაძე, ელენე გოკიელი და სხვები. ანუ ისინი, ვინც შექმნეს ქართული მძლეოსნობის ისტორია, გააცნეს მსოფლიოს საქართველო.**

ჩემი რესპოდენტიც, ალბათ ხშირად უმეორებს თავის აღსაზრდელებს ზემოხსენებულ სიტყვებს და უამბობს საქართველოს მძლეოსანთა წარსულ დიდებაზე. მასთან სულ სხვა თემაზე მქონდა ჩაფიქრებული საგაზეთო წერილის მომზადება. მინდოდა იმ სპორტსკოლის მუშაობაზე მომეთხრო, რომელსაც ის ხელმძღვანელობდა.

მაგრამ აღმოჩნდა, რომ სკოლა აღარ არსებობს. უფრო სწორედ, შეუერთდა სხვა სკოლას და სახეცვლილი პროფილით განაგრძო არსებობა. ცხადია, შემეძლო უკან გავბრუნებულიყავი, მაგრამ გამახსენდა, რომ ჟურნალისტი ვალდებულია ბოლომდე გაერკვეს მოვლენებში. ალბათ დამეთანხმებით, თანამედროვე სპორტულ პრესაში ყურადღება ძირითადად გამახვილებულია დაწინაურებულ და პოპულარულ სპორტის სახეობებზე, რამაც ჩვენში ჩრდილში მოაქცია არანაკლებ ღირსეული და მსოფლიოში ყველაზე მასობრივი სპორტის სახეობა – მძლეოსნობა, – „სპორტის დედოფალი“. ზემოხსენებულმა სპორტსკოლამ თავისი არსებობით უდიდესი სამსახური გაუწია ქართულ სპორტს.

1986 წელს საქართველოს სპორტკომიტეტის, ჯანმრთელობის და განათლების სამინისტროების ერთობლივი გადაწყვეტილებით, ფიზკულტურის ინსტიტუტთან შეიქმნა ექსპერიმენტული სპორტული სკოლა. ეს იყო ასეთი ფორმატის სკოლის შექმნის პირველი შემთხვევა მაშინდელ საბჭოთა კავშირში. სკოლის დირექტორად დაინიშნა ცნობილი სპეციალისტი **ნოე ლობჟანიძე.** შემოწმდა სამიათასამდე პირველკლასელი, რომელთაგან შეირჩა ხუთასი ბავშვი. ფიზკულტურის ინსტიტუტის III, IV კურსელებისაგან დაკომპლექტებული მწვრთნელთა ბრიგადები შეუდგნენ ამ ბავშვების საერთო ფიზიკურ მომზადებას. ერთდროულად ორი სასარგებლო საქმე კეთდებოდა – გამოცდილებას იძენდნენ მომავალი მწვრთნელები და სპორტულ მომზადებას გადიოდა მოზარდთა დიდი კონტიგენტი.

ბავშვებს სისტემატიურად აკვირდებოდნენ სპეციალისტები და ადგენდნენ ვის სპორტის რომელი სახეობისთვის შესაფერისი მონაცემები ჰქონდა. გარკვეული პერიოდის შემდეგ ხდებოდა მათი გადანაწილება სხვადასხვა სახეობებში. აქ აღიზარდნენ სპორტსმენები, რომლებიც შემდეგ საქართველოს ნაკრებებში პირველ ნომრებად ხვდებოდნენ. მათ შორისაა 2004 წლის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში **რამაზ ნოზაძე.** ოლიმპიური თამაშების მონაწილე, მძლეოსანი **იულია დუბინა...** ნებისმიერმა სპორტსკოლამ შეიძლება თავი ვალმოხდილად ჩაითვალოს, თუ ის თუნდაც ერთ ოლიმპიელს აღზრდის.

პირველი ნაკადის გამოშვება – გადანაწილების შემდეგ სკოლამ დაიტოვა მხოლოდ მძლეოსანთა ჯგუფი, რომელმაც მალე ბრწყინვალედ იასპარეზა საქართველოს პირველობაზე და გუნდური პირველობაც დაისაკუთრა, გადაუსწრო რა საკმაოდ ძლიერ გუნდებს.

არაერთხელ გაუმარჯვნია აგრეთვე სპორტის აკადემიის ფეხბურთელთა გუნდს, რომელიც ძირითადად ამ სკოლის აღზრდილებისაგან იყო დაკომპლექტებული.

მოკლედ, სკოლა – ტალანტების აღმოჩენის ფუნქციას პირნათლად ასრულებდა. ძალზე მნიშვნელოვანი იყო ისიც, რომ აქ ბავშვობიდანვე უნერგავდნენ მოსწავლეებს ცხოვრების ჯანსაღ წესს. მერე სახელმწიფომ თანდათან შეწყვიტა სკოლის დაფინანსება, ბაზა გასხვისდა და დაწესდა გადასახადი. მხოლოდ ენთუზიაზმი არ აღმოჩნდა საკმარისი სკოლის შესანარჩუნებლად და მან არსებობა შეწყვიტა... ეს მოხდა ერთი წლის წინათ.

წარმოუდგენელია სპორტმა ჩვენში სახელმწიფოს მხარდაჭერისა და დაფინანსების გარეშე იარსებოს. ხშირად უსახსრობის გამო სპორტსმენი იძულებული ხდება თავი დაანებოს ვარჯიშს, თუნდაც იმიტომ, რომ შეიძლება სპორტული ტანსაცმლის შესაძენი, თუნდაც გზის ფული არ ჰქონდეს. ვარჯიშში საფასურის გადახდა, თანაც მძლეოსნობაში ის ხომ ფანტაზიას სცილდება.



ნოე ლობჟანიძე დიდ სურვილს გამოთქვამს კვლავ შეიქმნას მსგავსი ფორმატის სკოლა. ან ბავშვთა და მოზარდთა მძლეოსნობის ცენტრის ბაზაზე გაიხსნას ჯგუფები, სადაც დასაქმდებიან ახალგაზრდა მწვრთნელები. თავად ბატონი ნოე მზადაა თავისი ცოდნა და გამოცდილება გაუზიაროს ახალგაზრდა თაობას. მაგრამ აქვე ჩნდება თავსატეხი კითხვა – სად? პირობებით დღესდღეობით მძლეოსნობა სულაც არაა სახარბიელო მდგომარეობაში. კატასტროფული ვითარებაა ვაკის დახურულ საწვრთნელ კომპლექსში. წვიმიან ამინდში იქ მეცადინეობა, უბრალოდ, შეუძლებელია, რადგან ისე წვიმს, როგორც გარეთ. თუმცა, ენთუზიასტ მწვრთნელებს სხვა გზა არ დარჩენიათ – განაგრძობენ მუშაობას და შედეგებსაც ელოდებიან. მათ შორისაა, ბატონი ნოეც. სკოლის გაუქმების შემდეგ იგი თავის უწინდელ საქმიანობას დაუბრუნდა და შუბის ტყორცნაში ავარჯიშებს ახალგაზრდებს. თავის დროზე 13 სპორტის ოსტატი აღზარდა ამ სახეობაში: **კარლო გორძემაშვილი, ჰუსეინ დაოვი, ლევან ნანიევი, ციალა ლიპარტელიანი** და ა.შ. ისინი სსრკ ნაკრების კანდიდატები და საქართველოს რეკორდსმენები იყვნენ წლების მანძილზე. ლატვიელი მძლეოსანი **მორის გრივაც** მისი აღზრდილია, რომელიც საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ დაბრუნდა სამშობლოში და მწვრთნელად დაიწყო მუშაობა. აი, ასეთია, ერთი სკოლის ნაღვლიანი ისტორია. ვიხსენებთ წარსულს და ვფიქრობთ მომავალზე – ნუთუ ყველაფერი მოგონებად დარჩება?

ღმერთმა ნუ ჰქნას!

**ნინო ძლიერიძე.**

---

# დებიუტანტი
## კახა შევარდნაძე

(ფეხბურთი)



**დაიბადა** 1993 წლის 16 მარტს ქ. თბილისში
**სიმაღლე** 147 სმ,
**წონა** 35 კგ.
**სწავლობს** თბილისის 24-ე საშუალო სკოლაში VII კლასში
**სპორტში მეცადინეობს** 2002 წლიდან „ნორჩი დინამო“
**პირველი** და ახლანდელი მწვრთნელი – თენგიზ კაცია
**ქალაქის** პირველობების სამ გზის პრიზიორი
**ბენდელას** თასის ფინალისტი.
**სპორტის** აკადემიის პირველობის ბომბარდირი 2005 წელს.

**თიკა ასლანიშვილი.**

---

## მერაბ ახალბედაშვილი



საქმისადმი ერთგულებით და პიროვნული ღირსებებით გამორჩეული ქართული სპორტის კიდევ ერთი ღვაწლმოსილი მუშაკი წავიდა უეცრად ამ ქვეყნიდან. მერაბ ახალბედაშვილი გორის საფალავნო სკოლის ღირსეული წარმომადგენელი იყო. შესანიშნავი მიღწევები ჰქონდა, როგორც თავისუფალ ჭიდაობაში, ისე სამბოში – ორივე სახეობაში გახდა სპორტის ოსტატი.

ნ. ბარათაშვილის სახელობის გორის პედაგოგიური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ სამწვრთნელო საქმიანობას მოჰკიდა ხელი. თავდადებული შრომით არაერთი ახალგაზრდა აზიარა დიდ სპორტს, კერძოდ, სამბოს, რისთვისაც მიენიჭა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის წოდება. მ. ახალბედაშვილმა, თავი გამოიჩინა აგრეთვე, როგორც სპორტის უნარიანმა ფუნქციონერმა. მისი ხელმძღვანელობით 1968 – 1987 წლებში სპორტსაზოგადოება „განთიადის“ გორის საქალაქო საბჭო მოწინავეთა რიგებში იდგა მთელ საქართველოში. 1987 – 2003 წლებში კი სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ გორის ორგანიზაციას ედგა სათავეში.

ბრწყინვალე პიროვნება და უმაღლესი დონის სპეციალისტი – ასე იცნობდნენ მას, როგორც მშობლიურ გორში, ისე საქართველოს სპორტულ სამყაროში.

ნათელი პიროვნების მერაბ ახალბედაშვილის ხსოვნა სამარადისოდ დარჩება ყველას გულებში, ვინც ამ შესანიშნავ ქართველს ახლოს იცნობდა.

საქართველოს სამბოს ეროვნული ფედერაცია;
ქ. გორის სპორტული საზოგადოებრიობა.

---

„ლელოზე“ ხელმოწერა გრძელდება
3 თვით – 10 ლარი და 80 თეთრი
6 თვით – 21 ლარი და 60 თეთრი
ხელმოწერის გასაფორმებლად გირჩევთ მიმართოთ „საქპრესას“, „მაცნეს“, „ინფოსერვისს“, „უწყებანს“.

კარატე-დო

საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის საინფორმაციო ფურცელი

№31 (45) დეკემბერი, 2005 წელი

# მასამიცუ ჰისატაკა: ქართული კარატე მსოფლიო დონეს პასუხობს

# ქართული კარატე იაპონურ გრანტს მიიღებს



მასამიცუ ჰისატაკა:
WKKF VI დანი
SKK V დანი

94 წლის მსოფლიო ჩემპიონი კოშიკი კარატე-დოში, ტოკიო;
996 წლის მსოფლიო ჩემპიონი კოშიკი კარატე-დოში, ჩიბა;
998 წლის მსოფლიო ჩემპიონი კოშიკი კარატე-დოში, ოქროს თასი, ავსტრია;
2002 წლის იაპონიის ღია ჩემპიონატის ჩემპიონი სოშიკი კარატე-დოში, ტოკიო;
2003 წლის იაპონიის ღია ჩემპიონატის ჩემპიონი კოშიკი კარატე-დოში, ტოკიო;
2004 წლის მსოფლიო ჩემპიონი კოშიკი კარატე-დოში, საბერძნეთი;

დღეს მასამიცუ ჰისატაკა მსოფლიოს შორინჯი რიუ კენკოკან კარატე-დოს ფედერაციია ტექნიკური კომიტეტის თავმჯდომარეა.

საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის ეგიდით საქართველოს პირველად მსოფლიოს შორინჯი რიუს კენკოკან კარტე-დოს ფედერაციის ფუძემდებლის ერთადერთი შთამომავალი მასამიცუ ჰისატაკა ესტუმრა. აქვე მკითხველს მინდა განვუმარტოთ, შორინჯი რიუ ეს სარის კარატეს უძველესი მიმართულება და იაპონურიდან თარგმანში ნიშნავს შაოლინს, რაც მიუთითებს იმას, რომ მისი საფუძვლები სამხრეთ შაოლინიდან მოდის. ხოლო მსოფლიო კოსიკი კარატე-დოს ფედერაცია დღეს ერთადერთი ოფიციალურად აღიარებულია საერთაშორისო ოლიმპიპური კომიტეტის მიერ. კოსიკი



კარატე-დო განიხილება ერთადერთ კონტაქტურ კარატეს სახეობად, და კანდიდატად, რომელიც დაშვებული იქნება ოლიმპიურ თამაშებზე.

მასამიტსუ ჰისატაკას თბილისში ვიზიტის დროს ჩაატარა სემინარები და გამოცდები, რომელსაც ხელმძღვანელობდა საქართველოს კარატე-დოს ეროვნულ ფედერაციაში შემავალი კოსიკი კარატე-დოს ფედერაციის პრეზიდენტი ემზარ წიკლაური.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიოს კოსიკი კარატე-დოს ფედერაციის პრეზიდენტი მასაიუკი ჰისატაკა საქართველო-იაპონოიის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ორგანიაზციის პრეზიდენტი დ იაპონიაში ერთერთი ცნობილი ბიზნესმენია. მაისის თვეში კი იაპონიის ბიზნესმენთა შეხვედრა დაიგეგმა საქართველოს ხელისუფლებასთან, როდესაც მასაიუკი ჰისატაკაც ჩამობრძანდება და ქართულ-იაპონურ ბიზნესს ჩაეყრება საფუძველი. იაპონური პირველივე ვიზიტი საკმაოდ წარმატებული და ნაყოფიერი გამოდგა: იაპონიის მხარემ სურვილი გამოთქვა, რომ საქართველოს გრანტის სახით გამოუყოს მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები და ფინანსები. ეს გრანტები პირველად, ექსპერიმენტის, ორ რეგიონზე გაიხარჯება – სამეგრელო ზემო-სვანეთისა და აჭარის. ამ საკითხთან დაკავშირებით პირველი შეთანხმება უკვე მიღწეული სამეგრელო ზემო-სვანეთის კარატე-დოს ფედერაციის პრეზიდენტ, ბატონ მამუკა ყურაშვილთან და აჭარის კარატე-დოს ფედერაციის პრეზიდენტ, ბატონ ნოდარ ხაჯიშვილთან.

მომავალი წლის ზაფხულში კი იაპონელები ქართული კარატეს მესვეურებს და ეროვნულ ნაკრებს მიიწვევენ კუნძულ ოკინავაზე, სადაც კონტაქტური კარატეს ოკინავას ღია ჩემპიონატი გაიმართება.

დღეს ჩვენი რესპონდენტი, მასამიცუ ჰისატაკა, მსოფლიოს შორინჯი რიუ კენკოკან კარატე-დოს ფედერაციია ტექნიკური კომიტეტის თავმჯდომარეა.



*– ბატონო მასამიცუ, თქვენი ვიზიტი რა მიზანს ემსახურება და ვინ მოგიწვიათ თბილისში?*

– მე თბილისში საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა, სენსეი კახა ბასილიამ და საქართველოს კოსიკი კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა სენსეი ემზარ წიკლაურმა. სხვათა შორის, სენსეი ემზარ წიკლაურმა, გუშინ ჩატარებულ საატესტაციო გამოცდაზე მესამე დანის ხარისხი მიიღო. ეს მისთვის საკმაოდ დიდი წარმატებაა და ვულოცავ. ჩვენ თბილისში პირველად3 და 4 დეკემბერს ჩავატარეთ კოშიკი კარატე-დოს საერთაშორისო სემინარები, სადაც საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის მაღალკვალიფიციური ინსტრუქტორები და სპორტსმენები მონაწილეობდნენ. ჩვენი სემინარები ძირითადად ტექნიკური, კუმიტეს ტექნიკა მოძრაობაში, რომელიც სპარინგის დროს რეალურად გამოიყენება, საბაზო, კატის გარჩევები – ბუნკაი, იარაღით, – ბოკენი და ხმალი ვამუშავეთ. ეს არის შორინჯი რიუ კარატეს სპეციალური ტექნიკა. შემიძლია ვთქვა, რომ ამ სემინარის დონით ძალიან კმაყოფილი ვარ.

*– ქართულ კარატეს როგორ შეაფასებთ, რას იტყვით მის დონეზე?*

– შემიძლია სრული პასუხისმგებლობით განვაცხადო, რომ საქართველოში კარატე ძალიან მაღალ დონეზეა. ქართული კარატე თამამად პასუხობს მსოფლიო კარატეს სტანდარტებს. თქვენს სპორტსმენებს საკმაოდ კარგი ფიზიკური, სულიერი და ტექნიკური მომზადება აქვთ. ეს ყველაფერი კი სენსეი კახა ბასილიას და სენსეი ემზარ წიკლაურის დიდი დამსახურებაა. ქართველი კარატისტების მებრძოლის მენტალიტეტით არიან დაჯილდოვებულნი, ძალიან მამაცები არიან და ეს მე არაერთხელ მინახავს მსოფლიო ტატამებზე.

*– სენსეი მასამითსუ, საქართველო თუ მოგეწონათ?*

– ძალიან ძველი ქვეყანაა საქართველო, რომლის სილამაზემ და მომხიბვლელობამ ჩემს მოლოდინს გადააჭარბა. თქვენ უძველესი კულტურის ხალხი ხართ და ეს დიდად საამაყოა. ძალიან მომე-




## მასაიუკი ჰისატაკა

### WKKF-ის პრეზიდენტი SKK-ის პრეზიდენტი

მასაიუკი ჰისატაკა 1940 წელს დაიბადა მონგოლეთში. 1958-1962 წლებში გახდა მსოფლიო ჩემპიონი კოშიკი კარატე-დოში; 1961-1962 წლებში გახდა სრულიად იაპონიის ღია ჩემპიონატების გამარჯვებული; 1963 წელს დაამთავრა ნიჰონ უნივერსიტეტის კომერციის მართვის სპეციალობით; 1964-1967 წლებში მუშაობდა ამერიკის შეერთებული შტატებში მსოფლიო საბრძოლო ხელოვნებათა და ძიუდოს სახელმწიფოს ოფიციალურ წარმომადგენლად. 1978 წელს მიიწვიეს სემინარების ჩასატარებლად საფრანგეთში, დასავლეთ გერმანიაში და ავსტრიაში. ამავე დროს მიწვეული იყო საბჭოთა კავშირში კარატეს პირველ ოფიციალურ ინსტრუქტორად. 1979 წელს კი ოსტატმა ჰისატაკამ სისტემები კოშიკი კარატე განავითარა უმარლეს დონეზე, ხოლო 1980 წელს კი ოფიციალურად დაინიშნა კოშიკი კარატე-დოს ფედერაციის ხელმძღვანელად.



☞ წონა საქართველო, სიამოვნებით ჩამოვალ კიდევ.

*– შემდეგ საქმიან ვიზიტს ან საქართველოში კოსიკი კარატეში ჩემპიონატის ჩატარებას თუ გეგმავთ?*

– რა თქმა უნდა, შემდეგი ვიზიტი საქართველოში მომავალი წლის ზაფხულისთვის გვაქვს დაგეგმილი, რომელიც უფრო ფართო, წარმომადგენლობითი და საქმიანი იქნება. ჩვენ საქართველოს გრანტებს მივცემთ, რომლის საშუალებითაც კარატეს განვითარება და პოპულარიზაცია მოხდება.

*– და ბოლოს, ქართულ სამზარეულოზე რას იტყოდით, იაპონურისგან ძალიან განსხვავდება.*

– იაპონურისგან მართლაც ძალიან განსხვავდება. თუმცა ქართველებსაც საკმაოდ გემრიელი სამზარეული გაქვათ და ძალიან მომეწონა, განსაკუთრებით ხინკალი და ქართული ღვინო..







# სამეგრელოს ღია პირველობა

საქართველოს კარატე-დოს ეროვნულმა ფედერაციამ კიდევ ერთი მაღალი დონის ტურნირი ჩაატარა. ამჯერად მთავარი ორგანიზატორი სამეგრელო ზემო-სვანეთის კარატე-დოს ფედერაცია, საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია, ზუგდიდის რაიონის გამგეობა და სპორტის სამსახური იყო. „ტურნირის დონით ამჯერადაც კმაყოფილი ვარ. სამეგრელო ზემო-სვანეთის კარატეს ფედერაცია, როგორც ყოველთვის, ახლაც საუკეთესო ორგანიზატორია", – განცხადა შეჯიბრის დასასრულს საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა კახა ბასილიამ.



„მე ამ ჩემპიონატით კმაყოფილი ვარ, მაგრამ შემდეგი ჩემპიონატი უკეთესი მინდა იყოს. ადლობა მინდა გადავუხადო სამეგრელო ზემო-სვანეთის რეგიონის ხელმძღვანელობას, ზუგდიდის გამგებელს, ბატონ ალექსანდრე ქობალიას და სპორტის კულტურისა და ძეგლთა დაცვის უფროსს, ქალბატონ ლიკა ფარცხვანიას და სამხარეო პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსს, ბატონ მერაბ გერგაიას", – თქვა სამეგრელო ზემო-სვანეთის კარატე-დოს ფედერაციის პრეზიდენტმა მამუკა ყურაშვილმა.





შედეგები:

6-7 წელი
I ადგილი, გურამ ჯიჯალავა, ფოთი
II ადგილი, კახა თოიძე, ფოთი
III ადგილი, მიშა ადამია, ფოთი

8-9 წელი
I ადგილი, გელა კორთხონჯია, აფხაზეთი
II ადგილი, ლევან ყურაშვილი, ზუგდიდი
III ადგილი, ბაჩუკი ქირია, ფოთი

10-11 წელი
I ადგილი, გიორგი ჯიქია, ზუგდიდი
II ადგილი, გიორგი ბოჭორიშვილი, ზუგდიდი
III ადგილი, ამირან ბებია, სენაკი

14-15 ადგილი
I ადგილი, აჩიკო თოფურია, ზუგდიდი
II ადგილი, სპარტაკ შამუგია, აფხაზეთი
III ადგილი, ბაჩუკი ბაძაღუა, ზუგდიდი

16-17 წელი
I ადგილი, გიორგი კარანაია, თბილისი
II ადგილი, ჭაბუკა კიკალიშვილი, ზუგდიდი
III ადგილი, გურამ ეჯიბია, სენაკი

+ 18 წელი
I ადგილი, რომან გოგია, ზუგდიდი
II ადგილი, კახა ეგნატაშვილი, თბილისი
III ადგილი, სერგო კვერცხიშვილი, თბილისი

გოგონები:
I ადგილი, თამრიკო გულორდავა, აფხაზეთი
II ადგილი, თამარ ბებია

**ნუგზარ ჭიაბერაშვილი, საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრესმდივანი**

## საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია

საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია თავის წევრთა ინტერესებს წარმოადგენს საკანონმდებლო ორგანოებში და ხელისუფლებაში. სპორტის დეპარტამენტში, საქართველოს ოლიმპიურ კომიტეტსა და საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციებში. ქმნის სექციებს, კლუბებს, ტრადიციული კარატე-დოს ცენტრებს, ეხმარება მათ ორგანიზაციულ მეთოდიკურ საქმიანობაში, არეგულირებს მათი მოღვაწეობის იურიდიულ მხარეს, ორგანიზებას უკეთებს სასწავლო-საატესტაციო სემინარებს სპორტსმენთათვის და მსაჯთა მომზადებასა და ლიცენზირებას საერთაშორისო ფედერაციებში მიღებული ფორმების მიხედვით, ატარებს შოუ-ფესტივალებს და სპორტულ დღესასწაულებს.

მათ, ვინც დაინტერესდება ჩვენი ფედერაციის საქმიანობით გთხოვთ მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე: თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. №6, ტელ/ფაქსი: 96-31-89, **www.karate.ge**
საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის ცენტრალური ოფისი.

空手道

**მომზადებულია საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრესცენტრის მიერ**

# ვერისბაღელის მოგონებები
## როგორ წაართვეს თასი თბილისელებს

შეხვედრა წარსულთან

1960 წლის ზაფხულში ვერისბაღელთა ყურადღების ცენტრში იყო იტალიის დედაქალაქ რომში მიმდინარე ზაფხულის XVII ოლიმპიური თამაშები, სადაც საკმაოდ დიდი წარმატებებით იასპარეზა საბჭოთა კავშირის ოლიმპიურმა ნაკრებმა. ძველი ტრადიციის თანახმად, მის შემადგენლობაში წარმოდგენილნი იყვნენ ქართველი სპორტსმენებიც. ჯერ კიდევ მსოფლიოს ხუთი კონტინენტის სპორტსმენთა ამ გიგანტური ფორუმის დაწყებამდე, როგორც ყოველთვის, „ფეხბურთის აკადემიის" გულშემატკივრები ურიცხვი პროგნოზებით იყვნენ დაკავებულნი. ერთნი მიიჩნევდნენ, რომ


ტორპედოელთა კარს უტევს ვლადიმერ ბარქაია

კლასიკური ჭიდაობის ნაკრების ლიდერი, მელბურნის თამაშების ჩემპიონი გივი კარტოზია „მარადიული ქა-ოქიდან" სამშობლოში ოქროს მედლის გარეშე არ დაბრუნდებოდა, მეორენი ამბობდნენ, რომ კარტოზიამ უმძიმე წონაში გადაინაცვლა. როგორც შემდგომმა მოვლენებმა დაადასტურეს, ჩვენს უპირველეს ფავორიტს მართლაც გაუჭირდა მისთვის უჩვეულო წონით კატეგორიაში გამოსვლა და თბილისში ბრინჯაოს მედლით დაბრუნდა. **ავთანდილ ქორიძისაგან** ვერისბაღელები აშკარად არ მოელოდნენ თუ სულმნათი ფალავანი რომის ხალიჩაზე ყველა მეტოქეს დაამარცხებდა, მაგრამ მან, რომ იტყვიან, მართლაც შეუძლებელი შეძლო და მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულს ოლიმპიური ჩემპიონის ოქროს მედალიც მიუმატა. თამაშების დაწყებამდე პრესის ფურცლებზე საკმაოდ ხშირად იბეჭდებოდა ამერიკელი სიმაღლეზე მხტომელის **ჯონ თომასის** ფანტასტიკური შედეგების შესახებ. სპეციალისტები მიიჩნევდნენ, რომ რომის ოლიმპიურ სტადიონზე — „ფორო იტალიკოზე" „ბოსტონელ კალიად" მიჩნეულ ჯონ თომასს ოქროს მედალი ჯიბეში ედო, მაგრამ ეს მითი დაამსხვრია თბილისელმა სიმაღლეზე მხტომელმა **რობერტ შავლაყაძემ.** მან ოლიმპიური სიმშვიდით გადალახა 216 სანტიმეტრზე გაძებული თამასა და პირში ჩალაგამოვლებული დატოვა ამერიკელთა მთავარი იმედი. შავლაყაძემ სამშობლოში ოქროს მედალი ჩამოიტანა. ამ სპორტული გმირობისათვის მას ლენინის ორდენი გადაეცა. რომის XVII თამაშების ქართველ სპორტსმენთა მონაგარში ორი ოქროს, ხუთი ვერცხლისა და სამი ბრინჯაოს მედალი იყო.

სეზონის მიწურულს თბილისის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდმა საბჭოთა კავშირის თასის გათამაშების ნახევარფინალში გააღწია. მატჩი 27 ოქტომბერს, მოსკოვში, ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე იყო დანიშნული. გაზეთ „თბილისის" რედაქციამ თასის გათამაშების ამ ეტაპზე სამი თანამშრომელი — **ედუარდ სიხარულიძე, შალვა მირიჯანაშვილი** და ამ სტრიქონების ავტორი მიავლინა. დონბასელებთან ნახევარფინალური შეხვედრა 120 წუთი გაგრძელდა. ლუჟნიკებში საკმაოდ ციოდა. როცა მატჩის დამთავრებას წამები აკლდა, დინამოელებმა მეორე ბურთი გაიტანეს. ამ დროისათვის ელექტროტაბლო ჩამქრალი იყო. იქ დამსწრე ქართველ ჟურნალისტებს მოსკოვის „ტორპედოს" ქომაგები გვეუბნებოდნენ, რომ გადათამაშება ხვალ ან ზეგ გაიმართებოდა, რომ არაქათგამოცლილი, გაყინული თბილისელები ვეღარ გაუძლებდნენ ბუნების ასეთ ულმობელ შემოტევას და სამხრეთელები დამატებით ასპარეზობას წააგებდნენ. ამ დაცინვაში უცებ ლუჟნიკის რადიომ ყველას გასაგონად გამოაცხადა:

— მიხეილ მესხის მიერ ასპარეზობის დამთავრებამდე 7 წამით ადრე გატანილი ბურთი ლიტველ მსაჯთა ბრიგადამ ჩათვალა. მატჩი 2-1 მოიგეს თბილისელებმა, რომლებიც საკავშირო თასის გათამაშების ფინალში გავიდნენ. ამ ცნობამ უზომო სიხარული მოგვიტანა. ყურჩამოყრილი მოსკოველები ძუნძულით ტოვებდნენ ტრიბუნას და ახლა მათ ჩვენი გამაყრუებელი სტვენა ესმოდათ.

მაშ ასე. ფინალში ადვილად გავიდა მოსკოვის „ტორპედო", რომელმაც გზიდან ოდესელი არმიელები ჩამოიშორა. თასის ფინალური მატჩი 31 ოქტომბერს ლუჟნიკებში 19 საათზე დაინიშნა. მოსკოვში ძალიან ციოდა, 30 ოქტომბერს გათოვდა კიდეც. **ანდრო ჟორდანიას** აცილება მიუცია კიეველ მსაჯთა ბრიგადისათვის — **ცაპოვეცკი** (მთავარი არბიტრი), **მალეცი, მუგურდუმოვი** და ისევ ლიტველების ტრიო მოუთხოვია, მაგრამ ვერაგმა **ნიკოლოზ ლატიშევმა**, რომელიც მსაჯთა საკავშირო კომისიის თავმჯდომარე იყო, თავისი გაიტანა და ისევ უკრაინელთა ბრიგადა დაგვინიშნა. ამ საბედისწერო და დრამატული შეხვედრის შესახებ, რომელიც 45 წლის წინათ ლუჟნიკებში გაიმართა, ბევრი ითქვა და დაიწერა. მის დეტალებზე აღარ შევჩერდები, მაგრამ მინდა ზოგი ეპიზოდი გავიხსენო, რომელმაც ლუჟნიკების გათოშილი მაყურებელი გაამხიარულა. ერთ მომენტში **ჯემალ ზეინკლიშვილმა** ბურთი **ვლადიმერ ბარქაიას** გადასცა. გაგრულმა საოცრებამ მუხლის თავებზე დაიწყო კენწლვა, მას უკნიდან **ნიკოლოზ მანოშინი** ებრძოდა, რომელიც ცდილობდა ტექნიკური კონცერტი ჩაეშალა. გაჭირვებაში მყოფი მეგობრის დასახმარებლად „ტორპედოს" მეორე ნახევარმცველი, ლეგენდარული **ვალერი ვორონინი** გამოეშურა. **კალოევმა** რაღაც შესძახა ჟონგლიორობით გართულ ბარქაიას. ცბიერმა თბილისელმა თავი დააღწია ავტოქარხნელთა გარემოცვას და ბურთიანად კარისაკენ დაიძრა. ვორონინი და მანოშინი ერთმანეთს შუბლით შესკდნენ.

ბრაზილია, ბრაზილია, გაისმა ტრიბუნებზე ვერისბაღელი გულშემატკივრების აღფრთოვანებული შეძახილები. ან თუ გნებავთ, ლეგენდარული მიშა მესხი გავიხსენოთ, რომელიც ქორივით აწიოკებდა მოსკოველთა დაცვას. განსაკუთრებით დაზარალდა მისი პერსონალური მეურვე **მედაკინი**, რომელმაც ვერაფერი გააწყო თბილისელის მზაკვრული ფინტების წინაშე. ცაპოვეცკის სასტვენი დუმდა, როცა **გუსაროვმა** 9-მეტრიანი თამაშგარე მდგომარეობიდან გახსნა ანგარიში. მან 11-მეტრიანზე არ მიუთითა მაშინ, როცა საჯარიმოში მოცელეს **შოთა იამანიძე**, როცა მესხის მიერ გამჭოლი გადაცემა პენალტის ნიშნულთან ხელით შეაჩერა ცენტრალურმა მცველმა **ვიქტორ შუსტიკოვმა**. თბილისის „დინამოს" ამ მატჩში ძალიან აკლდა მისი უკვდავი კაპიტანი **ბასა ღოღობერიძე**, რომელიც წინა ღამეს ჩამოფრინდა სოხუმიდან. ეს დრამატული ასპარეზობა 4-3 „მოიგეს" ავტოქარხნელებმა. ფარული ამბავი იმის შესახებ, რომ თასი და ჩემპიონის ოქროს მედლები მარადჟამს მოსკოველებს უნდა დარჩეთ, კიდევ ერთხელ დადასტურდა. 1953 წელს, ნიკოლოზ ლატიშევმა საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ოქროს მედლები მაშინაც ტორპედოსთან გადამწყვეტ მატჩში, უსინდისოდ დაგვაკარგვინა. 7 წლის შემდეგ მან თასიც აგვართვა და კიდევ ერთხელ დასწყვიტა გული ათასობით ჭეშმარიტ ფეხბურთის ქომაგს.

ამ მატჩის შემდეგ, საკავშირო ფეხბურთის ფედერაციამ ვითომ პატივი გვცა — დემორალიზებული და ფსიქიკურად მოშლილი თბილისის „დინამო" ინგლისში საერთაშორისო მატჩების გასამართავად გააგზავნა. დინამოელებმა, 7 ნოემბერს, 0-5 წააგეს „შეფილდ უენსდეისთან", 10 ნოემბერს 5-2 უგებდნენ „ვულვერჰემპტონ უონდერერსს" და ფრედ — 5-5 დაასრულეს მატჩი და 15 ნოემბერს 2-5 დათმეს ლონდონის „ტოტენჰემ ჰოტსპურთან". 1959 წელს საფრანგეთის პროფესიონალურ კლუბებთან ჩატარებული ბრწყინვალე ტურნეს შემდეგ, ეს გახლდათ ფიასკო „ნისლიან ალბიონზე".

მომავალი წლიდან, სტარტი აიღო ფეხბურთში ჩილეს 1962 წლის მსოფლიოს VII ჩემპიონატის შესარჩევმა ციკლმა, რომელშიც ჩინებულად იასპარეზა მაშინდელმა საბჭოთა კავშირის ნაკრებმა. **გავრილ კაჩალინმა** ბრწყინვალე ანსამბლი, რომელმაც 1960 წელს ევროპის პირველი თასი მოიგო, არგენტინას აწვია და პირველი საერთაშორისო ამხანაგური შოუ-სპექტაკლი გამართა ტრაბახა არგენტინის ნაკრებთან. ეს ისტორიული მატჩი ბუენოს აირესის „რივერ პლეიტის" 120 ათასიან, გადაჭედილ სტადიონზე „თეთრი დათვების" ნაკრებმა (როგორც არგენტინელებმა უწოდეს) 2-1 მოუგო მარადონას თანამემამულეებს. სტადიონი ფეხზე ამდგარი სკანდირებდა — ბრავო მესხი, ვივა იაშინ, მეტრეველი. მსოფლიოს ფეხბურთის ისტორიაში ეს მატჩი, რომელიც 1961 წლის 18 ნოემბერს გაიმართა, ნიშანდობლივია იმით, რომ არგენტინელებმა მაისურები და სხვა სპორტული ამუნიცია შემოახიეს „ქართულ ფრთებად" შერაცხულ მიშა მესხს, სლავა მეტრეველს. აღნიშნული სუვენირები დღესაც აქვთ შენახული არგენტინელ ფეხბურთის ფანებს.

როგორც **გოგი დემეტრაძემ** აღნიშნა, ეს სასიამოვნო პროცედურა „ტორსიდამ" 9 წლის შემდეგ მეხიკოში „აცტეკას" გიგანტურ სტადიონზე გაიმეორა, როცა გულშემატკივარმა მავთულის ღობე გადალახა და ტანზე სპორტული ფორმა შემოახია „ფეხბურთის მეფედ" შერაცხულ **პელეს**. როგორც იცით, 1970 წლის ზაფხულში ჩემმა სათაყვანებელმა ნაკრებმა, რომელსაც ზოგი სპეციალისტი საუკეთესო ნაკრებად მიიჩნევს, სამუდამოდ დაატყვევს ნიკეს ოქროს ქალღმერთის 1800 გრამიანი ქანდაკება და მეხიკოდან — რიო-დე-ჟანეიროში ჩაიტანა.

სულ ახლახან, **კოტე მახარაძის** V საერთაშორისო ჭაბუკთა ტურნირს დავესწარი და მისი მსვლელობა გავაშუქე გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" ფურცლებზე. ბანკეტზე ჩემს გვერდით იჯდა ცნობილი ვერისბაღელი გულშემატკივარი, არგენტინული ფეხბურთის ქომაგი, განთქმული ტელეჟურნალისტი **დავით ქლიბაძე**. დათომ ისიც გამიმხილა, რომ 1961 წლის 18 ნოემბრის არგენტინა — საბჭოთა კავშირის ორივე ტაიმის ვიდეო-ჩანაწერი ვილაც ქართველ გულშემატკივარს ჰქონია ისრაელში. ქლიბაძემ მითხრა, რომ მას თურმე ხელში ჩავარდნია ვიდეოფირი, სადაც „ფეხბურთის ჩარლი ჩაპლინად" შერაცხული **გარინჩას** ცხოვრებაა აღბეჭდილი. მოხარული ვარ, რომ ჩემი კოლეგა დამპირდა, ამ ვიდეოფირის აჭარის ტელეარხზე გაშვების თარიღსაც შეგატყობინებო. როგორც ხედავთ, ეს ძვირფასი ინფორმაცია შემოგთავაზეთ და, ვფიქრობ, მას მალე შეესხმება ფრთები. ერთი რამ ცხადია, დღევანდელი თაობა იმას გაიგებს თუ ვინ იყო გარინჩა და როგორ აწიოკებდა თავისი განუმეორებელი ფინტებით 6-7 მცველს და ხშირად მთელ გუნდსაც.

შეუმჩნევლად, საკმაოდ სწრაფად დადგა 1962 წლის გაზაფხული. კიროვის ბაღის ფეხბურთის აკადემიაში ცხარე დებატები გრძელდებოდა. ადვილი მისახვედრია თუ რაზე ვკამათობდით. წინ იყო ჩილეს მსოფლიოს VII ჩემპიონატის ფინალური ტურნირი, რომლის მონაწილე საბჭოთა ნაკრებიც იყო — გავრილ კაჩალინის გუნდი, რომლის ღირსებას უკვე 4-5 ქართველი ფეხბურთელი იცავდა. ჩემს ხელთაა 1962 წლის 10 მაისის პატარა დოკუმენტი, სადაც ვერის ბაღის რამდენიმე გულშემატკივრის წინასწარი პროგნოზია დაფიქსირებული. თავდაპირველად გადავწყვიტე ეს დოკუმენტი ქსეროქსზე გადამეღო, მაგრამ სიძველის გამო ძალიან ძნელია მკითხველმა რაიმე გაიგოს. გთავაზობთ 43 წლის წინანდელი დოკუმენტის სიას:

— **გივი გამრეკელი** — ბრაზილია, იტალია.

— **ვერნი ალფაიძე** — ინგლისი, ბრაზილია.

— **შალვა ქირია** — ბრაზილია 100 პროცენტით.

— **სულიკო ხაჟალია** — ინგლისი, ურუგვაი.

— **კარლო ნიკოლაიშვილი** — სსრ კავშირი, ინგლისი

— **ქართლოს სვანიძე** — ბრაზილია, იტალია.

— **გურამ ჭყონია** — ესპანეთი, ბრაზილია.

— **გურამ რატიანი** — ბრაზილია, ინგლისი.

— **არონ ციციაშვილი** — ბრაზილია, ინგლისი.

— **ნუგზარ ბოკუჩავა** — ბრაზილია, ინგლისი

— **ლევან ხაინდრავა** — ბრაზილია, ესპანეთი.

— **თენგიზ სანაკოევი** — ურუგვაი, იტალია.

— **რეზო მელაშვილი** — ესპანეთი, სსრ კავშირი


ფრანც ბეკენბაუერი და სლავა მეტრეველი




— **ელგუჯა ბერძენიშვილი** — ბრაზილია.

**რუდიკ მაგრაქველიძე** — სსრ კავშირი, ბრაზილია.

**გიორგი დემატრაძე** — ბრაზილია.

სულ ამ პატარა რეფერენდუმში მონაწილეობდა 30 კიროვისბაღელი, რომელთა გვარების სრულად ამოკითხვა ვერ შევძელი. როგორც ხედავთ, ბაღელთა შორის ბრაზილიელთა ჩილეში მეორედ გამარჯვების შესაძლებლობის პროგნოზი გაიზარდა. მიხაროდა, რომ ბრაზილიელ პაპუასებს, შავკანიან ტინგიცებს აღარ ეძახდა ბელადი — ქართლოს სვანიძე და მის მაგალითს მიბაძეს სხვა მისმა თანაგუნდელებმა.

ისიც კარგად მახსოვს, რომ ბაღში ჯემალ და გურამ რატიანებმა ჟურნალი „სტადიონი" მოიტანეს, სადაც ბრაზილიის ნაკრები იყო აღბეჭდილი. რუსლან სანაკოევმა დახედა ამ ფოტოს და განაცხადა:

— ვინაა ნეტავ პაპუასები ამ ფოტოზე? თვალი დაუდგეთ ჰოლივუდის პროდიუსერებს, ძალიან ფოტოგენურები არიან და სიმპათიურები — **ბელინი, ჟილმარი, ორლანდო, ზაგალო, თვით გარინჩა და ვავაც.** ეს ფოტოსურათი ხელიდან ხელში გადადიოდა და რუსლან სანაკოევის თამამ განცხადებას ერთხმად შეუერთდნენ — **გივი მესხიშვილი, პაატა ყუფარაძე, ბედო დოლიძე, ვალერა კობახიძე, ვახტანგ ქავთარაძე** და **თამაზ გოლეთიანი**. ორი ცნობილი ფეხბურთელის მამამ, ჩვენმა ერთგულმა მეგობარმა **დავით გიგოლაშვილმა** იუმორით აღნიშნა — ნეტავ ასეთი „მახინჯები" სბორნი სსრ-ში თამაშობდნენ და მსოფლიოს ჩემპიონები გახდნენ. ავიტანდით მათ იერსახის ცვალებადობას, ჯანდაბას ჩვენი თავი...

**შალვა ქირია**

(გაგრძელება იქნება)

ფოტოები ავტორის არქივიდან.

## საფეხბურთო ვიქტორინა

***1. რომელ წელს მოიპოვა სსრ კავშირის თასი მეორედ თბილისის „დინამომ"?***

ა — 1978 წელს
ბ — 1979 წელს
გ — 1980 წელს

***2. რომელ წელს დაამთავრა საფეხბურთო კარიერა ვლადიმერ ბარქაიამ?***

ა — 1965 წელს
ბ — 1966 წელს
გ — 1967 წელს

***3. ვინ იყო თბილისის „დინამოს" მთავარი მწვრთნელი 1953 – 1954 წლებში?***

ა — ბორის პაიჭაძე
ბ — ანდრო ჟორდანია
გ — მიხეილ იაკუშინი

***4. ვინ იყო თბილისის დინამოს კაპიტანი 1967-1970 წლებში და ნაწილობრივ 1971 წელს?***

ა — მურთაზ ხურცილავა
ბ — სლავა მეტრეველი
გ — შოთა იამანიძე

***5. რომელ წელს გამოეთიშა თბილისის „დინამო" სსრ კავშირის ჩემპიონატს?***

ა — 1988 წელს
ბ — 1989 წელს
გ — 1990 წელს

პასუხები: 1 – ბ, 2 – გ, 3 – ა, 4 – ბ, 5 – გ.



# ასარჩევი აირჩევა



გასულ კვირას ქართული ფეხბურთის მესვეურები ბავშვებს დააკვირდნენ. 14-15 წლის ყმაწვილმა ფეხბურთელებმა მონდომებით გააგორეს ბურთი და რამდენიმემ სპეციალისტებს თავიც მოაწონა. 1990 წელს დაბადებულ ფეხბურთელთა პაექრობას „ოლიმპის" სტადიონმა უმასპინძლა. აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ორი ნაკრების შერკინება აღმოსავლეთელთა სრული უპირატესობით წარიმართა. პირველ ნაკრებთა მატჩი 6-0, მეორე ნაკრებთა შეხვედრა კი 3-0 დამთავრდა. ეს მატჩები, თუნდაც, იმით იყო მნიშვნელოვანი, რომ ჭაბუკთა ნაკრების თავკაცებს კანდიდატთა შერჩევის საშუალება მიეცათ. 17 წლამდელთა მომავალ შესარჩევ ციკლში, სწორედ, 1990 წელს დაბადებული ფეხბურთელები იასპარეზებენ.

1991 წელს დაბადებულ ფეხბურთელთა მატჩები „ოლიმპის" საფეხბურთო სკოლის ხელოვნურსაფარიან მოედანზე გაიმართა. აქაც აღმოსავლეთის და დასავლეთის ორი ნაკრები დაუპირისპირდა ერთმანეთს. შეხვედრები გაცილებით დაძაბულად წარიმართა. აღმოსავლეთის პირველმა ნაკრებმა მეტოქე 2-0 დაამარცხა, მეორე ნაკრებთა მატჩი ფრედ, 0-0 დასრულდა.

სფფ-ს ბავშვთა ფეხბურთის უფროსი მენეჯერის **ავთანდილ შალამბერიძის** განცხადებით, ტალანტების მოძიების პროცესი გაგრძელდება. მომავალ კვირაში მსგავსი მატჩების გამართვა სამეგრელოში იგეგმება. უახლოესი რეზერვი შეიძლება იმერეთშიც გაისინჯოს. გაისად, გაზაფხულზე კი უფრო ფართომასშტაბიანი ტურნირი ჩატარდება.



ფოტოები ელდარ მალხაზიშვილისა

**1990 წლიანები**

**აღმოსავლეთი I – დასავლეთი I 6-0**

**აღმოსავლეთი:** მაკარიძე, ცოცხალაშვილი, ტყებუჩავა, თარგამაძე, გამრეკლიძე, მამუჩიშვილი, ნემსაძე, ლანიაშვილი, ბეგლარიშვილი, ყუნია, კიკნაძე. **შეცვლაზე შევიდნენ:** სალარიძე, ბერძენიშვილი, ჩადუნელი, ფაილოძე, თოდუა, დგებუაძე.

**დასავლეთი:** ბედიანიძე, ერქვანია, გაბუნია, აფრიდონიძე, ქორქოლიანი, მჭედლიძე, ბერაძე, ნებიერიძე, შალიკაშვილი, მახარაძე, ბაციკაძე. **შეცვლაზე შევიდნენ:** ჩიქოვანი, ალფაიძე, ლომთაძე, ყოფიანი.

**გოლები:** ბეგლარიშვილი (38,62), ფაილოძე (43, 51, 63), ყუნია (67).

**მსაჯი:** ა. ნონიკაშვილი (თბილისი).

**აღმოსავლეთი II – დასავლეთი II 3-0**

**აღმოსავლეთი:** კოტრიკაძე, თვალავაძე, ქუნთელია, გეთიაშვილი, ალავერდაშვილი, პაპიტაშვილი, შონია, ბ. ჯინჭარაძე, ბეროშვილი, თურმანიძე, ხოკერაშვილი. **შეცვლაზე შევიდნენ:** ემუხვარი, გაგნიძე, ბერიძე, ბუდალაშვილი, ჯალიაშვილი, ჯიშკარიანი.

**დასავლეთი:** ბოჭორიშვილი, თევდორაძე, სირაძე, გოგიტიძე, ფერაძე, რამიშვილი, საცერაძე, თექთუმანიძე, ლომიძე, გოგბერიშვილი, ქანდავაძე.

**გოლები:** ბეროშვილი (5 3), თურმანიძე (9), შონია (15)

**გააფრთხილეს:** გოგიტიძე (32)

**მსაჯი:** ო. ხეცაძე (თბილისი).

**1991 წლიანები**

**აღმოსავლეთი I – დასავლეთი I 2-0**

**დასავლეთი:** ნავაძე, ბეგალოვი, კაკუშაძე, ხაჩიძე, ფერაძე, კუხიანიძე, მალაყმაძე, კახაძე, გვალია, კ. ჯინჭარაძე, ხურციძე. **შეცვლაზე შემოვიდნენ:** მორჩიაშვილი, ჯავახაძე.

**აღმოსავლეთი:** უჩაშვილი, მელქაძე, მინდიაშვილი, ახალბედაშვილი, მჭედლიშვილი, ებრალიძე, კაკულია, ხაზალია, თათოშვილი, მეურნაგია, ც. ბეჟიშვილი. შეცვლაზე შემოვიდნენ: ნიორაძე, საბაური, მამაცაშვილი, მერეჩკო, ჩიხრაძე, თანიაშვილი.

**გოლები:** გობეჯიშვილი (9), მამაცაშვილი (59)

**მსაჯი:** ველისაბედაშვილი (თბილისი).

**აღმოსავლეთი II – დასავლეთი II 0-0**

**აღმოსავლეთი:** გიორგობიანი, ჭანკვეტაძე, კალანდაძე, ხუციშვილი, ბელქანია, გუგუჩია, ზვიადაძე, ნონიკაშვილი, კაჭახიძე, გ. ჩხაიძე ფილია. **შეცვლაზე შევიდნენ:** ზაალიშვილი , ვაშაკიძე, მხეიძე, დ. ჩხაიძე, ადამია, კაკალაძე, ცხაკაია.

**დასავლეთი:** ჯოლოხავა, ჩხვირკია, მირცხულავა, გეგელია, გოქაძე, მოისწრაფიშვილი, კვერნაძე, მეგრელიშვილი, ყურუა, შამათავა, გოგავა. **შეცვლაზე შევიდნენ:** ჯავახაძე, ხურციძე.

**მსაჯი:** ა. გუნთაძე (ლანჩხუთი).

# კლაუსი თბილისში ჩამოდის



**ქართულ ფეხბურთში დღეს, მთავარი საკითხი ეროვნული ნაკრების თავკაცის ვაკანტური ადგილია. მთავარი მწვრთნელის პოსტზე ორი გამოკვეთილი კანდიდატია. გერმანელი კლაუს ტოპმიოლერი და სლოვენიელი სრეჩკო კატანეცი. ფეხბურთის გერმანელი სპეციალისტი თბილისში კვირას, 11 დეკებერს ჩამოვა და მეუღლესთან ერთად სასტუმრო „თბილისი მერიოტში" დაბინავდება. კლაუს ტოპმიოლერი საქართველოს დედაქალაქში სამი დღე გაჩერდება და ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტთან ნოდარ ახალკაცთან პირდაპირ მოლაპარაკებებს გამართავს. ნოდარ ახალკაცის განმარტებით, კლაუს ტოპმიოლერი მოხარულია სფფ-სთან უშუალო კონტაქტით და მოუთმენლად ელ..ს საქართველოში ჩამოსვლას. ის, რომ, გერმანელი მწვრთნელი ყოველგვარ ძოლაპარაკებას თვითონ წარმართავს, სფფ-სთვისაც მისაღებია. – „გასაუბრების უაგენტოდ წარმართვა საკომისიო თანხებს დაგვაზოგინებს, რაც ნაკრების ტექნიკური ცენტრის კეთილმოწყობას და ბავშვთა ფეხბურთის განვითარებას მოხმარდება". – განუცხადა ჟურნალისტებს ნოდარ ახალკაცმა. ტოპმიოლერის ვიზიტის პროგრამა საკმაოდ მრავალფეროვანია. იგი დაათვალიერებს ეროვნულ და ვაკის სტადიონებს, ეწვევა ნაკრების საწვრთნელ ბაზას, გაეცნობა ჩვენი ფეხბურთის ინფრასტურქტურას. – „ვეცდებით მისი ვიზიტი მაქსიმალურად დატვირთული და ყოვლისმომცველი იყოს, რათა იგი საქართველოდან მაქსიმალურად დადებითი შთაბეჭდილებებით გაემგზავროს" – თქვა სფფ-ს პრეზიდენტმა. ვიზიტისას გათვალისწინებულია, ერთგვარი კულტურული პროგრამაც, სტუმარ-მასპინძელი, სავარაუდოდ, მცხეთას და რამდენიმე მუზეუმს ეწვევა. ფინანსურ საკითხებზე საუბარი ჯერ არ ყოფილა. ყველაფერი მაშინ გაირკვევა, როდესაც ტოპმიოლერი ჩამოვა. ნოდარ ახალკაცი კატანეცის ვიზიტსაც შეეხო.**

**– „სლოვენიელის ჩამოსვლა გერმანელის ვიზიტზე დამოკიდებული არ არის. გვსურს, საუკეთესო გადაწყვეტილება მივიღოთ". თქვა ფეხბურთის ფედერაციის თავკაცმა. კატანეცს თბილისში ტოპმიოლერის მერე ელიან. ფედერაციას, ჯერ მუშაობის გარანტია არ მიუღია, მაგრამ მთავარია, რომ მათგან, ჩვენი ფეხბურთისადმი დაინტერესება და კეთილგანწყობა იგრძნობა.**

# მსაჯებმა სწავლა განაახლეს



**გუშინწინ,** საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან არსებული ფეხბურთის მსაჯთა აკადემიის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა საერთო კრება შედგა. იმსჯელეს სასწავლო წლის დაწყების და სტუდენტთა მეცადინეობებზე დასწრების შესახებ, კრებამ მოისმინა გაწეული მუშაობის ანგარიში, დაამტკიცა პროფესორ-მასწავლებელთა ხელშეკრულებები, ისაუბრა სამომავლო გეგმებზე.

მსაჯთა აკადემიაში სწავლება განახლდა ნოემბრიდან. მეორე კურსის 18 სტუდენტისთვის პრიორიტეტული საგნებია: სპეციალობა, ფიზმომზადება და უცხო ენა. აკადემიის რექტორის ფიფას არბიტრის **ანატოლი მილჩენკოს** და პრორექტორის პროფესორ **მამია ტუღუშის** განმარტებით, მათ გარდა, სასწავლო პროცესს უძღვებიან: პროფესორი **მანანა ქოჩაკიძე** (ანატომია), სპორტის აკადემიის წამყვანი მასწავლებლები: **გივი ხოჭოლავა** (ფიზმომზადება), **მზია მაქაცარია** (ფიზმომზადება), **ცაცა მელაშვილი** და **ირინე გველესიანი** (ორივე – ინგლისური). სახელმწიფო სამართლის კურსს მეორე სემესტრში წაიკითხავს **ფიქრია ასანიშვილი.**

ფეხბურთის მსაჯთა აკადემია ორი წელიწადია ფუნქციონირებს. ამჟამინდელი სწავლების პირველი სემესტრი თებერვალში დასრულდება. მეორე სემესტრი მარტიდან დაიწყება, ივლისამდე გასტანს და აკადემიის მეორე გამოშვების სტუდენტებს ფიფას წარმომადგენელი დიპლომებს გადასცემს. ანატოლი მილჩენკომ განვლილი საფეხბუთრო სეზონი მთლიანობაში, დადებითად შეაფასა. მსაჯთათვის კლუბებს პროტესტი არ გამოუთქვამთ. იყო შენიშვნები კონკრეტულ საკითხებზე, შეცდომების გამო რამდენიმე მსაჯმა დისკვალიფიკაციაც მიიღო. შემდგომ მუშაობაში ხარვეზების აღმოფხვრას განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა. განახლდება კლუბებთან ურთიერთობა და მსაჯებთან ერთად მათაც გააცნობენ ცვლილებებს ფეხბურთის წესებში.

„სფფ-ს ხელმძღვანელებს მოველაპარაკებით და გვსურს მსაჯთა აკადემიის ფილიალები რეგიონებშიც გაიხსნას, რაც მათთან ურთიერთობას გააადვილებს. სეზონის დასრულების შემდეგ მსაჯთა კორპუსმა ერთი კვირით დაისვენა და ახლა რამდენიმე მათგანმა ინდივიდუალური ვარჯიშები განაახლა. ჩაფიქრებულია საწვრთნელი შეკრების მოწყობა და, ალბათ, იანვრის ბოლოს მსაჯები თეორიულ და ფიზიკურ ტესტებს ჩააბარებენ – ყურადღება მიექცევა მსაჯთა ფიზიკური კონდიციების გაუმჯობესებას". – თქვა ანატოლი მილჩენკომ.

აკადემიის რექტორის განცხადებით მსაჯთა აკადემიამ არსებობა კარგი კადრების მომზადებით გაამართლა. ფიფას არბიტრი გახდა **ლაშა სილაგავა,** მას წლეულს, ხუთი საერთაშორისო მატჩის გაძღოლა მოუწია და შეიყვანეს უეფას ნიჭიერ მსაჯთა სიაში. ეროვნული კატეგორიის მსაჯები არიან: **გიორგი ვადაჭკორია, ლევან კვარაცხელია,** პირველ ლიგაში მსაჯობენ: **ვასილი ელისაბედაშვილი** და **არსენ ნონიკაშვილი.** უმაღლესი ლიგის ასისტენტები არიან: **გია დოგრაშვილი, დათო ხარიტონაშვილი, დათო კურტანიძე, მალხაზ ბეუქლიშვილი, ხვიჩა გაგნიძე** და **ზაზა ფიფია.**

# მეოთხედი დაწყვილდა



საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის თასის გათამაშების მეოთხედფინალის კენჭისყრა პროფლიგის გემოვნებით გაწყობილ ოფისში მოეწყო. კენჭისყრის პროცესი სფფ-ს გენმდივანმა **გრიგოლ ცაავამ** წაიყვანა და რიგრიგობით დანომრა უმაღლესი ლიგის რვა გუნდი. **მეოთხედფინალის მატჩები გაისად, 18 თებერვალს და 8 მარტს გაიმართება და 14 საათზე დაიწყება. კენჭისყრით გუნდები ასე დაწყვილდნენ:**



ფოტო ელდარ მალხაზიშვილისა

**ამერი (თბილისი) – კოლხეთი 1913 (ფოთი)**
**ვიტ ჯორჯია (თბილისი) – ლოკომოტივი (თბილისი)**
**სიონი (ბოლნისი) – ბორჯომი (ბორჯომი)**
**ზესტაფონი (ზესტაფონი) – დინამო (თბილისი)**

თასის მეოთხედფინალის კენჭისყრის შემდეგ სფფ-ს ხელმძღვანელები, პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლები, მასპინძლებმა პროფლიგის ახალი ოფისის პრეზენტაციაზე მიიწვიეს.

მოკლედ, გაისად, საფეხბურთო სეზონი საინტერესო, დაძაბული სათასო პაექრობებით გაიხსნება.

# საგაისო, საშემოდგომო

გაისად, ღვინობისთვე ქართველ ჭაბუკ ფეხბურთელებს, ერთობ დატვირთული ექნებათ, კვიპროსში 2006-2007 წლების ჭაბუკთა ევროპის ჩემპიონატის პირველი შესარჩევი ციკლის კენჭისყრა გაიმართა. გამოვლინდა საქართველოს 17 და 19 წლამდელ ჭაბუკთა ნაკრები გუნდების ჯგუფური ეტაპის მეტოქეები.

სასიხარულოა, რომ 17 წლამდელთა ნაკრები მეტოქეებს შინ, საქართველოში ოქტომბერში უმასპინძლებს. ჩვენებურების მეტოქეების სიძლიერე ეჭვს არ იწვევს. დადგინდა ტურნირის კალენდარიც.

**13 ოქტომბერი**– საქართველო – რუსეთი, **15 ოქტომბერი**– საქართველო – გერმანია, **18 ოქტომბერი** – საქართველო – მაკედონია.

ცნობილია 19 წლამდელლთა მეტოქეებიც და კალენდარიც. მათაც, საკმაოდ, ძლიერ შესარჩევ ჯგუფში მოუწევთ ასპარეზობა.

**4 ოქტომბერი**– საქართველო – ჩრ. ირლანდია, **6 ოქტომბერი** – საქართველო – რუმინეთი, **9 ოქტომბერი**– საქართველოო – ბელგია. შესარჩევ ეტაპს რუმინეთი უმასპინძლებს.

ორივე ტურნირის ფორმატი, ისეთივეა, როგორც წლეულს იყო. პირველი ეტაპიდან მომდევნოზე ორი საუკეთესო ნაკრები გავა. მეორე ეტაპიდან ფინალურზე კი მხოლოდ ჯგუფებში გამარჯვებულები იასპარეზებენ.

# პირველი ლიგა

**გადატანილი მატჩი**

გაგრა – ზესტაფონი2 3-0

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩიხურა | 17 | 13 | 2 | 2 | 52-20 | 41 |
| მერანი | 17 | 12 | 3 | 2 | 28-10 | 39 |
| ამერი2 | 17 | 10 | 2 | 5 | 25-14 | 32 |
| გაგრა | 17 | 9 | 5 | 3 | 24-13 | 32 |
| დინამო2(თბ) | 17 | 9 | 4 | 4 | 27-11 | 31 |
| მეშაქრე | 17 | 9 | 3 | 5 | 29-17 | 30 |
| რუსთავი | 17 | 8 | 4 | 5 | 28-19 | 28 |
| გურია | 17 | 7 | 4 | 6 | 27-20 | 25 |
| მესხეთი | 17 | 7 | 4 | 6 | 23-20 | 25 |
| მეშახტე | 17 | 6 | 6 | 5 | 19-13 | 24 |
| საგარეჯო | 17 | 6 | 3 | 8 | 16-17 | 21 |
| ზუგდიდი | 17 | 5 | 4 | 8 | 7-15 | 19 |
| ვიტჯორ2(მცხ) | 17 | 5 | 4 | 8 | 14-20 | 19 |
| ლოკომ-2 | 17 | 5 | 1 | 11 | 14-33 | 16 |
| თბილისი2 | 17 | 4 | 4 | 9 | 17-29 | 16 |
| ზესტაფონი2 | 17 | 5 | 0 | 12 | 14-33 | 15 |
| ლიახვი | 17 | 3 | 0 | 14 | 15-46 | 9 |
| მალაროელი | 17 | 2 | 3 | 12 | 11-40 | 9 |

# რეგიონალური ლიგა

**ცენტრალური. XVIII ტური**

პეტროვიჩი – აკადემია 0-2
გორი – 35-ე სკ 0-2
ზოოვეტი – ივერია 2-0
ბორჯომი2 – თბილისი 4-2
ჩიხურა2 – ამირანი 3-1

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბორჯომი2 | 18 | 13 | 1 | 4 | 40-20 | 40 |
| ჩიხურა2 | 18 | 11 | 4 | 3 | 47-16 | 37 |
| ზოოვეტი | 18 | 11 | 4 | 3 | 28-12 | 37 |
| აკადემია | 18 | 10 | 1 | 7 | 30-17 | 31 |
| ამირანი (თბ) | 18 | 9 | 0 | 9 | 28-26 | 27 |
| გორი | 18 | 6 | 5 | 7 | 33-29 | 23 |
| ივერია | 17 | 5 | 4 | 8 | 14-25 | 19 |
| 35-ე სკ | 18 | 5 | 3 | 10 | 23-34 | 18 |
| თბილისი | 17 | 4 | 0 | 13 | 19-55 | 12 |
| პეტროვიჩი | 18 | 2 | 4 | 12 | 17-48 | 10 |

## საქართველოს ჩემპიონატი ფუტსალში

**V ტური**

იმედი – ნიკორა 2-4
ცენტრპოინტი – სოხუმი 16-5
ქართლი – საბურთალო 4-12
აჭარა – აგრარული უნივერს. 7-6

**V1 ტური**

აგრარ. უნივერსიტ. – იბერია 3-6
იმედი – აჭარა 4-5
ნიკორა – ქართლი 6-5
საბურთალო – სოხუმი 18-4

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცენტ.პოინტი | 5 | 5 | 0 | 0 | 43-20 | 15 |
| ნიკორა | 5 | 5 | 0 | 0 | 32-17 | 15 |
| საბურთალო | 5 | 4 | 0 | 1 | 48-21 | 12 |
| იბერია | 5 | 4 | 0 | 1 | 33-20 | 12 |
| აჭარა | 6 | 2 | 1 | 3 | 28-32 | 7 |
| იმედი | 6 | 2 | 0 | 4 | 33-36 | 6 |
| სოხუმი | 5 | 0 | 1 | 4 | 28-59 | 1 |
| აგრ. უნივ | 5 | 0 | 1 | 4 | 21-36 | 1 |
| ქართლი | 6 | 0 | 1 | 5 | 20-45 | 1 |



„ქართული ფეხბურთის" რედაქტორი
მიხეილ საბახტარიშვილი

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## კალაძის და არველაძის გოლები, ცქიტიშვილის „წითელი“ და ... ლუშემბურგოს გაძევება





გასულ შაბათ-კვირას გაიმართა ევროპის ქვეყნების ეროვნული ჩემპიონატების მორიგი ტურის შეხვედრები.

**იტალიის სერია „ა“** მე-14 ტურში „მილანმა“ სტუმრად 1-2 წააგო „კიევოსთან“. 23-ე წუთზე სტუმრები კახი კალაძემ დააწინაურა, ტაიმის მიწურულს პელისიერმა წონასწორობა აღადგინა, თამაშის დამთავრებამდე რვა წუთით ადრე კი ტირიბოჩიმ გამარჯვება მოუტანა „კიევოს“.

**ამ შეხვედრაში „მილანი“ ასეთი შემადგენლობით თამაშობდა:** დიდა, კალაძე (კაკა, 65), მალდინი (შიმიჩი, 46), ნესტა, სტამი, გატუზო, იანკულოვსკი, პირლო, რუი კოშტა, ჯილარდინო, შევჩენკო (ინძაგი, 69).

„მილანის“ შეფერხებით ისარგებლა ტურინის „იუვენტუსმა“, რომელმაც სტუმრად მეტად პრინციპულ შეხვედრაში დაამარცხა „ფიორენტინა“ — 2-1 და კიდევ უფრო გაზარდა სხვაობა მთავარ კონკურენტთან.

„ბებერი ქალბატონი“ ტრეზეგემ უკვე მე-8 წუთზე დააწინაურა, მე-40 წუთზე პაცინიმ წონასწორობა აღადგინა, მაგრამ მეორე ნახევარში კამორანეზიმ გამარჯვების გოლი გაიტანა მასპინძელთა კარში.

**„იუვენტუსი“:** აბიატი, კანავარო, კიელინი, ტურამი, კამორანეზი, ემერსონი (კოვაჩი, 90), ნედვედი, ვიეირა,



ძამბროტა, იბრაჰიმოვიჩი, ტრეზეგე (მუტუ, 90).

**სხვა შეხვედრები:** „ლაციო“ — „სიენა“ 3-2, „პალერმო“ — „კალიარი“ 2-2, „რეჯინა“ — „პარმა“ 2-1, „სამპდორია“ — „ემპოლი“ 2-0, „ტრევიზო“ — „მესინა“ 0-0, „უდინეზე“ — „ლივორნო“ 0-2, „ლეჩე“ — „რომა“ 2-2, „ინტერი“ — „ასკოლი“ 1-0.

**სატურნირო ცხრილის პირველი ხუთეული:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „იუვენტუსი“ | 14 | 13 | 0 | 1 | 31-8 | 39 |
| „მილანი“ | 14 | 10 | 1 | 3 | 30-15 | 31 |
| „ინტერი“ | 14 | 9 | 2 | 3 | 25-11 | 29 |
| „ფიორენტინა“ | 14 | 9 | 2 | 3 | 29-16 | 29 |
| „ლივორნო“ | 14 | 7 | 4 | 3 | 15-13 | 25 |

**ესპანეთის პრიმერადივიზიონის** მე-14 ტურში მადრიდის „რეალმა“ საკუთარ მოედანზე მოკრძალებული ანგარიშით 1-0 სძლია „ხეტაფეს“ . ეს ერთადერთი ბურთი რონალდომ გაიტანა მე-18 წუთზე.

**„რეალი“:** კასილიასი, რობერტო კარლოსი, ელგერა, პავონი, მიჩელ სალგადო, ბექჰემი, პაბლო გარსია, ზიდანი, რობინიო (ბაპტისტა, 46), მუტი, რონალდო (გრავესენი, 86).

ეს შეხვედრა შაბათს გაიმართა. კვირას კი „რეალის“ დირექტორთა საბჭოს რიგგარეშე სხდომაზე მთავარი მწვრთნელის პოსტიდან ბრაზილიელი სპეციალისტის ვანდერლეი ლუშემბურგოს მოხსნის შესახებ გადაწყვეტილება მიიღეს. მიზეზი, რა თქმა უდა, გუნდის ბოლოდროინდელი არადამაჯერებლად ასპარეზობაა.

„რეალის“ მთავარი მწვრთნელის მოვალეობას დროებით ხუან რამონ ლოპეს კარო შეასრულებს, რომელიც აქამდე დუბლშემადგენლობას თავკაცობდა.

ლუშემბურგომ წინასწარ იცოდა, რომ ათავისუფლებდნენ პოსტიდან. იმის შესახებ განაცხადა კიდეც ჟურნალისტებთან „ხეტაფესთან“ შეხვედრის წინ — ეს ჩემი ბოლოთამაშია, აკი მართლაც ბოლო აღმოჩნდა.

არ არის გამორიცხული, რომ კარომ სეზონის ბოლომდე უხელმძღვანელოს „სამეფო კლუბს“, შემდეგ კი მთავარი მწვრთნელის პოსტი ფაბიო კაპელომ დაიკავოს.

„რეალში“ განვითარებული ასეთი მოვლენების ფონზე, ესპანეთის ჩემპიონმა „ბარსელონამ“ ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა სტუმრად „ვილიარეალთან“. რონალდინიომაც გაიბრწყინა, თუმცა ბურთი არ გაუტანია. ჯერ პენიამ ჩაჰრა საკუთარ კარში ბურთი, შემდეგ კი დეკუმ გამოიჩინა თავი და კატალონიურმა კლუბმა 2-0 იმარჯვა.

**„ბარსელონა“:** ვალდესი, ედმილსონი, მარკესი, ოლეგერი, პუიოლი, სილვინიო, დეკუ, მესი (ლარსონი, 81), მოტა (ვან ბრონკჰორსტი, 73), ეტო'ო (გაბრი, 90), რონალდინიო.

**სხვა შეხვედრები:** „ესპანიოლი“ — „ვალენსია“ 1-3, „კადისი“ — „სარაგოსა“ 1-2, „ალავესი“ — „მალიორკა“ 0-3, „რასინგი“ — „სოსიედადი“ 2-2, „მალაგა“ — „ოსასუნა“ 1-2, „სევილია“ — „დეპორტივო“ 0-2, „სელტა“ — „ბეტისი“ 2-1.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ბარსელონა“ | 14 | 9 | 4 | 1 | 36-12 | 31 |
| „ოსასუნა“ | 14 | 10 | 1 | 3 | 21-14 | 31 |
| „სელტა“ | 14 | 8 | 2 | 4 | 18-15 | 26 |
| „რეალი“ | 14 | 8 | 1 | 5 | 25-16 | 25 |
| „ვალენსია“ | 14 | 7 | 4 | 3 | 21-16 | 25 |

**გერმანიის ბუნდესლიგის** მე-15 ტურში ერთპიროვნული ლიდერი მიუნხენის „ბაიერნი“ სტუმრად ფრეს დასჯერდა „შტუტგარტთან“ შეხვედრაში.

**გუნდების შემადგენლობა:**

**„შტუტგარტი“.** ჰილდებრანდი, დალპიერი, მანინი, მეირა, შრანცლი, გენტნერი, ჰიტცპერგერი (კარევიჩი, 79), სოლდო, ტიფერტი, ლუიბოია, ტიმასონი (გომესი, 75),

**„ბაიერნი“:** კანი, დემიკელისი, ისმაელი, ლიზარაზუ (იერემისი, 66), სანიოლი, ბალაკი, დაისლერი, ჰარგრივზი, შვაინშტაიგერი (ლამი, 46), მაკაი (კარიმი, 76), პისარო.



„შალკემ“ სტუმრად მინიმალური ანგარიშით სძლია „არმინიას“ — 1-0. ეს ერთადერთი ბურთი შეხვედრის 51-ე წუთზე პოულსენმა გაიტანა.

**„შალკე“:** როსტი, ერნსტი, ბორდონი (სანდი,46), კრსტაიჩი, რაფინია, კობიაშვილი, ლინკოლნი, პოულსენი, როდრიგესი, კურანი (ბაირამოვიჩი, 89), ვარელა (ასამოა, 46).

„ვოლფსბურგი“ სტუმრად 1-5 დამარცხდა „მაინცთან“. 62-ე წუთზე მოედნიდან გააძევეს ამ გუნდში მოთამაშე ლევან ცქიტიშვილი.

**სხვა შეხვედრები:** „ლევერკუზენი“ — „ჰერტა“ 1-2, „მიონხენგლადბახი“ — „ნიურნბერგი“ 0-1, „ვერდერი“ — „დუისბურგი“ 2-0, „ჰამბურგი“ — „კიოლნი“ 3-1, „დორტმუნდი“ — „ჰანოვერი“ 0-2.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ბაიერნი“ | 15 | 12 | 2 | 1 | 31-10 | 38 |
| „ჰამბურგი“ | 15 | 10 | 4 | 1 | 25-7 | 34 |
| „ვერდერი“ | 15 | 10 | 2 | 3 | 41-19 | 32 |
| „შალკე“ | 15 | 7 | 7 | 1 | 19-10 | 28 |
| „ჰერტა“ | 15 | 7 | 4 | 4 | 25-21 | 25 |

**ინგლისის პრემიერლიგის** მე-15 ტურში ერთპიროვნულმა ლიდერმა „ჩელსიმ“ საკუთარ მოედანზე 1-0 სძლია „მიდლსბროს“. ეს ერთადერთი ბურთი ტერის ანგარიშზეა.

**„ჩელსი“:** ჩეხი, დელ ორნო, გალასი, კარვალიუ, ტერი, დაფი, ლემპა-



რდი, ესიენი, გუდიონსენი, (ქერემი, 64), რობენი (რაიტ ფილიპსი, 74), დროგბა (კ. კოული, 78).

ლონდონის „არსენალმა“ სტუმრად მარცხი იწვნია „ბოლტონთან“ 0-2.

„ლივერპულმა“ და „მანჩესტერ იუნაიტედმა“ ერთნაირი ანგარიშით 3-0 დაამარცხეს შესაბამისად „უიგანი“ და „პორტსმუთი“.

**სხვა შეხვედრები:** „ჩარლტონი“ — „მანჩესტერ სიტი“ 2-5, „ბლექბერნი“ — „ევერტონი“ 0-2, „ტოტენჰემი“ — „სანდერლენდი“ 3-2, „ვესტ ბრომვიჩი“ — „ფულემი“ 0-0.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ჩელსი“ | 15 | 13 | 1 | 1 | 34-7 | 40 |
| „მანჩ. იუნ“ | 14 | 9 | 3 | 2 | 24-13 | 30 |
| „ლივერპული“ | 14 | 8 | 4 | 2 | 18-8 | 28 |
| „ტოტენჰემი“ | 15 | 7 | 6 | 2 | 19-12 | 27 |
| „არსენალი“ | 14 | 8 | 2 | 4 | 22-12 | 26 |

**გაგაცნობთ საფრანგეთის ჩემპიონატის მე-17 ტურის შედეგებს:**

„რენი“ — „ნიცა“ 1-0, „ნანსი“ — „მარსელი“ 1-1, „ლანსი“ — „სენტ ეტიენი“ 2-1, „ლიონი“ — პსჟ 2-0, „სტრასბური“ — „სოშო“ 0-0, „მონაკო“ — „ლე მანი“ 2-0, „მეცი“ — „ტულუზა“ 2-2, „ოსერი“ — „ნანტი“ 4-0, „აიაჩო“ — „ტრუა“ 0-1.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ლიონი“ | 17 | 13 | 4 | 0 | 29-10 | 43 |
| „ოსერი“ | 17 | 10 | 2 | 5 | 26-19 | 32 |
| „ბორდო“ | 17 | 8 | 7 | 2 | 17-10 | 31 |
| „ლანსი“ | 17 | 6 | 10 | 1 | 25-14 | 28 |
| „მონაკო“ | 17 | 8 | 3 | 6 | 18-13 | 27 |

**ჰოლანდიის ჩემპიონატის** მორიგ ტურში „ალკმაარმა“ საკუთარ მოედანზე 2-1 სძლია „ჰეერენვენს“. ერთი ბურთი შოთა არველაძის ანგარიშზეა.

**სხვა შეხვედრები:** „ნაიმეგენი“ — „ვიტესი“ 1-0, „გრონინგენი“ — „ტვენტე“ 1-0, „სპარტა“ — „დენ ჰააგი“ 2-3, „ჰერაკლესი“ — „როდა“ 0-1, „როზენდალი“ — „ფეიენოორდი“ 2-2, პსვ — „ბრედა“ 3-0, „აიაქსი“ — „ვაალვაიკი“ 4-1. ჩემპიონატს 35 ქულით ლიდერობს პსვ, რომელიც 3 ქულით უსწრებს უახლოეს მდევრებს — „ალკმაარსა“ და „ფეიენოორდს“.

**სკანდალურად დასრულდა ბრაზილიის საფეხბურთო ჩემპიონატი.** ჩემპიონი გახდა „კორინთიანსი“, რომელმაც უახლოეს მდევარს „ინტერნასიონალს“ 3 ქულით გაუსწრო. ბოლო ტურში „კორინთანსი“ 2-3 დამარცხდა „გოიასთან“, „ინტერნასიონალმა“ წააგო — 0-1 „კურიტიბასთან“. „ინტერნასიონალის“ მოთამაშეები და გულშემატკივრები მიიჩნევენ, რომ „კორინთანსი“ ღირსეული ჩემპიონი არ არის.

## ტოსტაო: „რონალდომ უკვე მიაღწია სუპერვარსკვლავთა ისეთ დონეს, როგორებიც იყვნენ მარადონა, გარინჩა და დი სტეფანო“



არ წყდება აჟიოტაჟი „ოქროს ბურთის“ წლევანდელი მფლობელის რონალდინიოს გარშემო. ლეგენდარულმა ზიზინიომ, რომელიც მსოფლიოს 1950 წლის ჩემპიონატზე ბრწყინავდა, განაცხადა: „რონალდინიო ყველაზე ჭკვიანი მოთამაშეა ბრაზილიურ ფეხბურთში. თავის მხრივ, ზიკომაც თქვა, რომ სიამოვნებით დაუთმობდა ბრაზილიას ნაკრების ათნომრიან მაისურს „ბარსელონას“ ფორვარდს“.



თვით რონალდომ საინტერესო რამ განაცხადა, როცა ჟურნალისტებმა მას საფეხბურთო კერპის შესახებ ჰკითხეს: „როცა 8 წლის ვიყავი, ტელევიზორით ვუცქირე სეულში გამართულ ოლიმპიურ თამაშებს, სადაც საფეხბურთო შეჯიბრებაში ბრაზილიის ნაკრები ფინალში დამარცხდა, საბჭოთა გუნდთან. მაშინ მოედანზე რომარიო ბრწყინავდა. მისმა თამაშმა წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე – ვცდილობდი, რომარიოსთვის მიმებაძა. ცოტა მოგვიანებით, გამოჩნდნენ რონალდო და რივალდო. ორივეს პატივს ვცემ“.

ბევრი თვლის, რომ რონალდინიომ ზემოთ ნახსენებ სამივე ფეხბურთელს გაუსწრო ოსტატობის დონით და პოპულარობითაც. ბრაზილიელმა საფეხბურთო მიმომხილველმა, ლეგენდარულმა ტოსტაომ აღნიშნა: „რონალდინიომ უკვე მიაღწია ისეთი სუპერვარსკვლავის დონეს, როგორებიც იყვნენ დიეგო მარადონა, გარინჩა და ალფრედო დი სტეფანო. წინ მხოლოდ პელეა. როცა მოედანზე რონალდინიო არ არის, ის თამაში უფერული გამოდის. რონალდინიოს ფინტები უნიკალურია. ესაა რეალურობისა და ფანტაზიის შერწყმა. რონალდინიო ჯერ კიდევ ახალგაზრდაა. მას წინ დიდი გამარჯვებები ელის“.

## ჩემპიონთა ლიგა

დღეს და ხვალ გაიმართება უეფას ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურის შეხვედრები. გაგაცნობთ თამაშების განრიგს ევროპული ტოტალიზატორის „ინტერვეტენის“ კოეფიციენტებთან ერთად.

| 6 დეკემბერი | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|
| „არტმედია“ — „პორტუ“ | 3,30 | 3,30 | 2,00 |
| „ბეტისი“ „ანდერლეხტი“ | 1,50 | 3,70 | 5,00 |
| „ჩელსი“ — „ლივერპული“ | 1,55 | 3,50 | 4,80 |
| „რეინჯერსი“ — „ინტერი“ | 2,10 | 3,00 | 3,10 |
| „ლიონი — „რუსენბორგი“ | 1,20 | 5,00 | 10,00 |
| „მილანი“ — „შალკე“ | 1,50 | 3,80 | 5,00 |
| „ოლიმპიაკოსი“ — „რეალი“ | 2,60 | 3,10 | 2,30 |
| პსვ — „ფენერბახჩე“ | 1,60 | 3,60 | 4,80 |
| **7 დეკემბერი** | | | |
| „არსენალი“ — „აიაქსი“ | 1,60 | 3,40 | 4,60 |
| „ბენფიკა“ — „მანჩ. იუნაიტ“ | 3,20 | 3,20 | 2,10 |
| „ვერდერი“ — „პანათინაიკოსი“ | 1,40 | 4,00 | 6,50 |
| „ბრიუგე“ — „ბაიერნი“ | 4,80 | 3,50 | 1,55 |
| „რაპიდი“ — „იუვენტუსი“ | 5,00 | 3,70 | 1,50 |
| „სპარტა“ — „თუნი“ | 1,85 | 3,20 | 3,80 |
| „უდინეზე“ — „ბარსელონა“ | 3,30 | 2,20 | 2,60 |
| „ვილიარეალი“ — „ლილი“ | 1,75 | 3,20 | 4,30 |



| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **A ჯგუფი.** | | | | | | |
| ბაიერნი | 5 | 4 | 0 | 1 | 9-3 | 12 |
| იუვენტუსი | 5 | 4 | 0 | 1 | 9-4 | 12 |
| ბრიუგე | 5 | 2 | 0 | 3 | 5-5 | 6 |
| რაპიდი | 5 | 0 | 0 | 5 | 2-8 | 0 |
| **B ჯგუფი** | | | | | | |
| არსენალი | 5 | 5 | 0 | 0 | 10-2 | 15 |
| აიაქსი | 5 | 3 | 1 | 1 | 10-6 | 10 |
| თუნი | 5 | 1 | 0 | 4 | 4-0 | 3 |
| სპარტა | 5 | 0 | 1 | 4 | 2-9 | 1 |
| **C ჯგუფი** | | | | | | |
| ბარსელონა | 5 | 4 | 1 | 0 | 14-2 | 13 |
| უდინეზე | 5 | 2 | 1 | 2 | 10-10 | 7 |
| ვერდერი | 5 | 1 | 1 | 3 | 7-11 | 4 |
| პანათინაიკ. | 5 | 1 | 1 | 3 | 3-11 | 4 |
| **D ჯგუფი** | | | | | | |
| ვილიარეალი | 5 | 1 | 4 | 0 | 2-1 | 7 |
| ლილი | 5 | 1 | 3 | 1 | 1-1 | 6 |
| მანჩესტერი | 5 | 1 | 3 | 1 | 2-2 | 6 |
| ბენფიკა | 5 | 1 | 2 | 2 | 3-4 | 5 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **E ჯგუფი** | | | | | | |
| მილანი | 5 | 2 | 2 | 1 | 9-4 | 8 |
| შალკე | 5 | 2 | 2 | 1 | 10-6 | 8 |
| პსვ | 5 | 2 | 1 | 2 | 2-6 | 7 |
| ფენერბახჩე | 5 | 1 | 1 | 2 | 7-12 | 4 |
| **F ჯგუფი** | | | | | | |
| ლიონი | 5 | 4 | 1 | 0 | 11-3 | 13 |
| რეალი | 5 | 3 | 1 | 1 | 9-6 | 10 |
| რუსენბორგი | 5 | 1 | 1 | 3 | 5-9 | 4 |
| „ოლიმპიაკ.“ | 5 | 0 | 1 | 4 | 5-12 | 1 |
| **G ჯგუფი** | | | | | | |
| ლივერპული | 5 | 3 | 2 | 0 | 6-1 | 11 |
| ჩელსი | 5 | 3 | 1 | 1 | 7-1 | 10 |
| ბეტისი | 5 | 2 | 1 | 2 | 3-6 | 7 |
| ანდერლეხტი | 5 | 0 | 0 | 5 | 0-8 | 0 |
| **H ჯგუფი** | | | | | | |
| ინტერი | 5 | 4 | 0 | 1 | 8-3 | 12 |
| რეინჯერსი | 5 | 1 | 3 | 1 | 6-6 | 6 |
| არტმედია | 5 | 1 | 2 | 2 | 5-9 | 5 |
| პორტუ | 5 | 1 | 1 | 3 | 8-9 | 4 |

## მსოფლიოს ჩემპიონატის გახსნა 23–25 მილიონი ევრო „დაჯდება“

მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის ფინალური ეტაპი 7 ივნისს ბერლინში საზეიმოდ გაიხსნება. ფიფას პრეზიდენტის ზეპ ბლატერის თქმით, ეს იქნება ფეხბურთის დიდი ზეიმი.

„გპირდებით, რომ 7 ივნისს არაჩვეულებრივ ცერემონიალს იხილავთ, რომელიც 2 საათის განმავლობაში გაგრძელდება.“ — ამბობს ბლატერი. ჩემპიონატის გახსნის ცერემონიალი ბერლინის „ოლიმპიაშტადიონზე“ ჩატარდება. წარმოდგენაში შვიდი ათასი ადამიანი მიიღებს მონაწილეობას, მათ შორის მსოფლიოს ჩემპიონებიც იქნებიან — პელე, მარადონა და სხვები.

იმღერებენ ესტრადის ვარსკვლავები პიტერ გაბრიელი, ჯგუფი „ბლექ ეიდ პისი“, შებ ხალიდი, აგრეთვე ოპერის მომღერალი აშშ-დან ჯესი ნორმანი.

ზეიმის რეჟისორია ფრანგი ქორეოგრაფი ფილიპ დეკუფლე, რომელმაც თავის დროზე, 1992 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების გახსნის ცერემონიალი „გააფორმა“. ჩემპიონატის ჰიმნს დაწერს ბრაიან უნო.

მსოფლიო ჩემპიონატის გახსნის ცერემონიალს ფიფა დააფინანსებს. ეს ღონისძიება ექსპერტების აზრით 23-იდან 25 მილიონ ევრომდე „დაჯდება“....

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნბა

## «ატლანტა» აგებს...



**შაბათ-კვირას ნბა-ს რეგულარული ჩემპიონატის მორიგი ტურის შეხვედრები გაიმართა.** სამხრეთ-დასავლეთ დივიზიონის ლიდერმა საკუთარ მოედანზე „ფილადელფია" დაამარცხა 100:91. პირველი პერიოდი სტუმრებმა ოთხი ქულის სხვაობით მოიგეს — 22:18 — შესვენებაზე კი 3-ქულიანი უპირატესობით გავიდნენ — 44:41. ამის შემდეგ მასპინძლები შედეგიანად ათამაშდნენ. პარკერმა და დანკანმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს „სან-ანტონიოს გამარჯვებაში — პარკერის ანგარიშზეა 20, ხოლო დანკანის — 16 ქულა. გარდა ამისა, ამ უკანასკნელმა 12-ჯერ მოხსნა ბურთი ფარიდან. „ფილადელფიას" შემადგენლობაში ალენ აივერსონი ბრწყინავდა, მან 37 ქულა მოაგროვა, მაგრამ საბოლოო წარმატებისათვის ეს საკმარისი არ აღმოჩნდა.

„დალასმა" 97:88 დაამარცხა „ნიუ-ორლეანი". გამარჯვებულთა რიგებში ყველაზე შედეგიანი დირკ ნოვიცკი იყო — 30 ქულა.

**სხვა შეხვედრები** „ნიუ-ჯერსი" — „ტორონტო" 82:95, „მილუოკი" — „ორლანდო" 104:84, „ჰიუსტონი" — „მემფისი" 75:90, „ჩიკაგო" — „დეტროიტი" 79:92, „დენვერი" — „მაიამი" 101:99, „კლიპერსი" — „კლივლენდი" 102:90.

გუშინ „ლეიკერსმა" საკუთარ მოედანზე ძლივს მოუგო „შარლოტას". ისიც, ერთი ქულის სხვაობით — 99:98. კობი ბრაიანტმა „ლეიკერსს" 29 ქულა შესძინა, ხოლო სტუმართა რიგებში შედეგიანი იყო ელი — 20 ქულა.



„საკრამენტო" 77:85 დამარცხდა „მინესოტასთან". ზაზა ფაჩულიას „ატლანტამ" გასვლითი შეხვედრა წააგო „ფინიქსთან" — 94:112. სტუმართა გუნდში საუკეთესო იყო ჯონსონი 23 მოპოვებული ქულით.

მერბერიმ 35 ქულა შესძინა „ნიუ-იორკს" „ბოსტონთან" საშინაო შეხვედრაში, მაგრამ მასპინძლები მაინც დამარცხდნენ სამი ქულის სხვაობით — 99:102.

**გუშინდელი სხვა შეხვედრები:** „სიეტლი" — „ინდიანა" 107:102, „პორტლენდი" — „იუტა" 93:98.

# ტიტული ვერ დაიბრუნა

„პალაჩად" წოდებულმა პროფესიონალმა მოკრივემ ბერნარდ ჰოპკინსმა ვერ შეძლო მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის ტიტულის დაბრუნება საშუალო წონაში — მან ქულებით წააგო ჯერმეინ ტეილორთან.

საინტერესოა, რომ ჰოპკინსი ამა წლის 16 ივლისამდე მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი იყო, ეს ტიტული 20-ჯერ წარმატებით დაიცვა! ეს ფანტასტიკური სერია ტეილორმა შეაწყვეტინა 40 წლის ჰოპკინსს.

ნახევარი წელი გავიდა და ეს მეტოქეები კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს ლას-ვეგასში. რათა საბოლოოდ გაერკვიათ, თუ ვინ იყო მათ შორის ძლიერი.



ორთაბრძოლის მიმდინარეობისას თავდაპირველად ტეილორი აქტიურად გამოიყურებოდა, მაგრამ შემდეგ ჰოპკინსი გააქტიურდა. ბოლო რაუნდებში მისი უპირატესობა უფრო თვალსაჩინო გახდა, მაგრამ რეფერებმა ქულებით გამარჯვება მაინც ტეილორს მიანიჭეს.

„გავიმარჯვე, თუმცა, ვგრძნობ, რომ კრივში კიდევ ბევრი რამ უნდა ვისწავლო. ჰოპკინსი ჭკვიანი მოკრივეა. ის შეეცადა, ჩემთან ორთაბრძოლაში მთელი თავისი დადებითი მხარეები წარმოეჩინა. მე თავიდან კარგად ვუტევდი, შემდეგ კი სტაბილურად ვიბრძოდი , დამსახურებულად მოვიპოვე გამარჯვება," — განაცხადა ბრძოლის შემდეგ ტეილორმა.



საინტერესოა, ტეილორი აქტიური მეშვიდე რაუნდამდე იყო, შემდეგ დარბაზში ყველამ გაიგონა, თუ როგორ შეუძახა ბერნარდ ჰოპკინს მწვრთნელმა ნაზიმ რიჩარდსონმა: „ახლო დისტანციიდან შეუსვენებლივ ურტყი!", ასეთმა ტაქტიკამ ჰოპკინს გარკვეული უპირატესობა მოაპოვებინა, მაგრამ საბოლოო გამარჯვებისათვის ეს საკმარისი არ აღმოჩნდა.

## მოედანზე არ გავიდა და... დააჯარიმეს

**ნბა-ს გუნდ „დენვერის" ხელმძღვანელობამ 30 ათასი დოლარით დააჯარიმა კალათბურთელი ვოშონ ლენარდი იმის გამო, რომ „ნიუ-ორლეანთან" შეხვედრის დამთავრებამდე 17 წამით ადრე იუარა მოედანზე შესვლა. ლენარდი ერთ თამაშზე მისაღებ თანხას — 30000 დოლარს ვერ მიიღებს.**

**აქვე გეტყვთ, რომ ლენარდით დაინტერესებულია „მილუოკი".**

## დევისის თასი ხორვატებმა მოიპოვეს



ხორვატიის ჩოგბურთელ ვაჟთა ნაკრებმა დევისის თასი დაისაკუთრა. ფინალში ხორვატებმა სლოვაკეთის ნაკრებს სძლიეს 3-2.

გადამწყვეტი გამოდგა კვირას გამართული შეხვედრა მარიო ანჩიჩსა და მიხაილ მარტინიაკს შორის. ხორვატმა ჩოგბურთელმა ანჩიჩმა 7:6, 6:3, 6:4 იმარჯვა.

## ფილიპ სონდერსი საუკეთესოდ მიიჩნიეს

სპორტულმა ინტერნეტ-საიტმა „ესპეენმა" ჩაატარა გამოკითხვა კალათბურთის გულშემატკივრებს შორის ნბა-ს საუკეთესო მწვრთნელის დასახელების მიზნით. ასეთი „დეტროიტის" თავკაცი ფილიპ სონდერსი აღმოჩნდა. მეორე ადგილზე გავიდა „დალასის" მთავარი მწვრთნელი ევერ ჯონსონი, ხოლო მესამეზე — მაიკ ბრაუნი — „კლივლენდი".

## მენსელი: „დროა, ინგლისელი პილოტებიც გახდნენ ჩემპიონები"

წარსულში ცნობილმა პილოტმა ნაიჯელ მენსელმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ დროა, ინგლისელმა პილოტებმა კვლავ მოიპოვონ „ფორმულა — 1"-ის ჩემპიონის ტიტული.

მისი აზრით, ამის მიღწევა შეუძლიათ ჯენსონ ბატონსა და დევიდ კულტჰარდს.

„ამ ორ პილოტს ძალუძს, გახდნენ ჩემპიონები. მთავარია, მათ ისპარეზონ სრულყოფილი ტექნიკური მონაცემების მქონე ბოლიდებით", — ამბობს მენსელი.

## რაიკონენი საუკეთესოდ სცნეს

ბრიტანულმა ჟურნალმა „ავტოსპორტმა" ჩატარებული გამოკითხვის შედეგების მიხედვით „ფორმულა1"-ის წლის საუკეთესო პილოტად სცნო ფინელი კიმი რაიკონენი („მაკლარენი"). შეგახსენებთ, რომ „ფორმულა1"-ის წლევანდელი სეზონის გამარჯვებული ფერნანდო ალონსოა („რენო").

## ჰინგისს შარაპოვასთან შეხვედრა სურს



მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი მარტინა ჰინგისი ამ ბოლო დღეებში ჟურნალისტთა ყურადღების ცენტრში მოექცა. ამის მიზეზი ყველასათვის ცნობილია: შვეიცარიელმა დიდ ჩოგბურთში დაბრუნება განიზრახა.

გუშინ ჟურნალისტებთან საუბარში მარტინა ჰინგისმა განაცხადა: „ხშირად მეკითხებიან, თუ ვისთან ვისურვებდი შეხვედრას კორტზე. ყოველთვის ჩემი პასუხი ერთია — მარია შარაპოვასთან. საქმე ის არის, რომ მსოფლიოს ჩოგბრთელ ქალთა რეიტინგის პირველ ათეულში მარია შარაპოვა ერთადერთია, ვისაც არ შევხვედრივარ, და კიდევ, შარაპოვამ უიმბლდონის ტურნირი მოიგო და პირველი ჩოგანიც იყო. აქედან გამომდინარე, მაინტერესებს თუ როგორ წარიმართება ჩემი მატჩი რუს ჩოგბურთელთან", — ამბობს ჰინგისი.

# მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




**6 დეკემბერი, სამშაბათი**

**საქართველოს ტელევიზია. რუსთავი — 2.** საფეხბურთო მიმოხილვა (23.00), ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. „მილანი" — „შალკე" (23.45), ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა (1.00), **მზე.** ფეხბურთი. ინგლისის პრემიერლიგა. „ბოლტონი" — „არსენალი" (12.00, გამეორებით), „ჩარლტონი" — „მანჩესტერ სიტი" (15.00, გამეორებით), „ლივერპული" — „არსენალი" (16.00, გამეორებით), საფეხბურთო მიმოხილვა (18.00), *НТВ.* ფეხბურთი, ჩემპიონთა ლიგა. „მილანი" — „შალკე" (23.35), *НТВ плюс спорт.* „ჰარმონიის ფორმულა" (14.30), ხელბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი სანკტ-პეტერბურგში. ქალები (15.15), „სპორტული გლობუსი" (16.30), „ყველაზე ძლიერი ადამიანები" (17.20), ამერიკული ფეხბურთი (18.15), ჭადრაკი. მსოფლიო თასის გათამაშება (21.30), აფროსნობა. მოგზაურობა დედამიწის გარშემო (22.00), ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. „მილანი" — „შალკე" (23.35), პსვ — „ფენერბახჩე" (1.55), EUROSPORT. სნოუბორდი (11.30), ფარიკაობა. მსოფლიო თასის გათამაშება საფრანგეთში (12.30), მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდები (13.00), ექსტრემალური სპორტი (14.15), რალი. პარიზი — დაკარი (15.15), ბიატლონი (17.15), რალი. მსოფლიო ჩემპიონატის მიმოხილვა (19.00), ავტორბოლა. ეროვნებათა თასი (20.00), მოტორბოლა (22.00), ოლიმპიური ცეცხლის ესტაფეტა (22.15), ცხენოსნობა. კონკური (22.45), გოლფი (0.15), აფროსნობა (1.15), საბრძოლო ხელოვნება (3.00).

**7 დეკემბერი, ოთხშაბათი**

**საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2.** ჩემპიონთა ლიგა. „ჩელსი" — „ლივერპული" (16.00, გამეორებით), „ბენფიკა" — „მანჩესტერი". პირდაპირი (23.35), ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა (1.00), **მზე.** ინგლისის პრემიერლიგის მიმოხილვა (16.00), *НТВ плюс спорт.* ჰოკეი. ნჰლ-ის ჩემპიონატი, „სან ხოსე" — „ატლანტა" (7.30), „სპორტული გლობუსი" (10.00), წყალბურთი (10.30), „ჰარმონიის ფორმულა (11.15), ჭადრაკი. მსოფლიო თასის გათამაშება (11.45), ხელბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი სანკტ-პეტერბურგში (12.45), აფროსნობა. მოგზაურობა დედამიწის გარშემო (13.30), კიოკუშინკაი კარატე (15.35), თოვლის სამყარო (16.30), ჰოკეი. რუსეთის ჩემპიონატი (17.20), „ნჰლ-ის გუნდები" „ნიუ-ჯერსი" (19.45), ჰოკეი. ნჰლ-ის ჩემპიონტი „სან-ხოსე" — „ატლანტა" (20.35, გამეორებით), „ტურინის გზაზე" (22.30), ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. „ბენფიკა" — „მანჩესტერ იუნაიტედი" (23.35), „ვილიარეალი" — „ლილი" (1.55), EUROSPORT ოლიმპიური თამაშები ტურინის გზაზე (11.30), ექსტრემალური სპორტი (12.00), საპლაჟო ფრენბურთი (12.30), ფეხბურთი. ევროგოლები (13.30), ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა (14.30), სათხილამურო სპორტი. ტრამპლინიდან თხილამურებით ხტომა. მსოფლიო თასის გათამაშება (17.15), კრივი (23.00), რალი. პარიზი — დაკარი (2.00), მოტორბოლა (2.30), ოლიმპიური თამაშების ტელეჟურნალი (4.00)

**8 დეკემბერი, ხუთშაბათი**

*НТВ плюс спорт.* ხელბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი სანკტ-პეტერბურგში (11.45), ტურინის გზაზე (13.00), თოვლის სამყარო (14.35), ნჰლ-ის გუნდები „ნიუ- ჯერსი" (15.00), აფროსნობა (16.30), ბილიარდი (17.20) ტაეკვონდო (19.15), კალათბურთი. ნბა-ს ჩემპიონატი. „ფილადელფია" — „მილუოკი" (20.00), „ექსი" — „ექსზე". გადაცემა ფრენბურთის შესახებ (22.30), საჭადრაკო მიმოხილვა (0.15), ჰოკეი. ნჰლ-ის ჩემპიონატი. „ნეშვილი" — „ნიუ-იორკი" (5.00), EUROSPORT. ოლიმპიური ცეცხლის ესტაფეტა (11.30), ტელეჟურნალი (11.45), რალი. პარიზი — დაკარი (13.45), ფეხბურთი. მსოფლიო — ჩემპიონატების ისტორიიდან (14.45), ბიატლონი (17.15), ფეხბურთი. პროგრამა „გოლი" (19.15), ცურვა — ევროპის ჩემპიონატი (20.00), ბიატლონი (23.00), ავტოსპორტი (0.00), კრივი (0.45), ფეხბურთი. უეფას თასის გათამაშების მიმოხილვა (3.00).

## საჭადრაკო ამოცანა

**ანდერსენი**
**„ლონდონ ნიუსი"**
(1846 წ.)



შამათი 4 სვლაში

№94-ში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა: 1. ლe8!!
1. ...... ეf4 2. ლe7 ეa6 3. ეc6 ე:c6 4. ლb4X (3..... კc5 4. ე:a6X)

## კროსვორდი

**თარაზულად:** 1. მძლეოსნური იარაღი, 3. პირველი ოლიმპიური ჩემპიონი ძალოსნობაში საქართველოდან, 8. კონტინენტი, 9. ილეთი, ანუ... 10. ცნობილი ესპანელი ჩოგბურთელი, კარლოს... 11. ცნობილი ქართველი ფალავანი, შოთა... 13. შეჯიბრების ნაწილი, როცა მონაწილეები თითოჯერ ხვდებიან ერთმანეთს, 14. ლეგენდარული ავტომრბოლი, ალენ... 15. ინგლისის საფეხბ. კლუბი, 19. ბრაზილიის საფეხბ. კლუბი, 20. ქუთაისის მორაგბეთა გუნდი, 21. იტალიის საფეხბ. კლუბი, 22. ბავშვთა სფეხბ. კლუბი და ხელოვნურსაფარიანი მოედანი თბილისში.



**შვეულად:** 2. თურქეთის საფეხბ. კლუბი, 4. ფეხბურთელი თბილისის „დინამოს" მეკარე (1945- 1950 წლებში), 5. ნავი, რომლითაც გაიტაცეს ოქროს საწმისი კოლხეთიდან, 6. ჯარჯი ზვიადაურის ბერძნული გვარი, 7. ლეგენდარული ბალტიისპირელი კალათბურთელი, 9. ლეგიონერი ქართველი კალათბურთელი, 10. ყველა დროის საუკეთესო ქართველი ვაჟი ჩოგბურთელი, 12. ცნობილი ქართველი ვეტერანი ფეხბურთელი. ვლადიმერ... 16. ჩეხეთის საფეხბ. კლუბი, 17. მოჭადრაკე კამენსკის სახელი, 18. საფეხბურთო მწვრთნელ ჟაკეს სახელი, 19. ცხენოსნობის საერთაშორისო ფედერაცია (შემოკლებით).

მოამზადა ნოდარ ჯაჯვაძემ.

### წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 3. კიი, 4. გიდი, 8. მარიო, 10. სტუ, 11. ევრუქიხინი, 13. რალი, 15. გაბელია, 17. აუტი, 18. იუკო, 20. სტამი, 23. „სპარტაკი", 24. გარბენი, 26. ლონდონი, 28. ილინი, 29. ათიანი.

**შვეულად:** 1. იმერეთი, 2. კროლი, 3. კოე, 5. დიხთაუ, 6. ოსი, 7. ტუა, 9. ბურე, 12. ვეა, 14. ატამანი, 15. გო, 16. ბალაკინი, 17. ალტობელი, 19. კვანტი, 21. სტილი, 22. „ზარია", 23. საკი, 25. ბოუ, 27.ლი.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14, 98-23-94, 899 55 48 97. ინდექსი 66435 INDEX. ელექტრონული ფოსტა: lelosport2005@yahoo.com